# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ფულებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 17 ოქტომბერი, 2014 წელი.

№212 (7593)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ვინც ჩვენ ერთმანეთს სამტროდ წაგვკიდა...

ანუ როგორ „ჩაგრავენ" ქართველებს რუსეთში. Тбилисоба в Москве, ანუ მოსკოვში 4 ოქტომბერს გამართული თბილისობის დღესასწაულის მაგალითზე მინდა გიამბოთ, მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, „ვსიო პო პორიადკუ" და მეც თავიდან დავიწყებ...

6

სოსო ცისკარიშვილი:



## რუსეთი ყირიმის მსგავსი მოდელის შექმნას აფხაზეთშიც ფიქრობს

3



## არის თუ არა საქართველო მზად დროის გამოწვევების შესაბამისად, რომ ამჯერად მაინც გადადგას შეუმცდარი ნაბიჯები?

4



დავით უსუფაშვილი:

25

## სააკაშვილს საკუთარი წარსული დევნის და არა - პუტინთან „შეკრული" ივანიშვილი

## კაცი, რომელიც დედაქალაქის დასაზურებლად ზრუნავს

5

არჩილ გეგეშიძე მიხეილ სააკაშვილს:



## თქვენ ქართველობას ფეოდალური მენტალიტეტი დააბრალეთ

2

### დღის ამოჩაზურიდან

— ეს ჩვენი აგრერიგად მომრავლებული პოლიტოლოგი-ექსპერტები იმ გალიტერატურათმცოდნევებულ ნაპოეტართ ჰგვანან, რომელთაც თეორიულად ოცდაოთხი საათი შეუძლიათ პოეზიაზე ლაპარაკი, მაგრამ ვერც ერთი იმათგანი ლექსს ვეღარ წერს.

— მართალი ბრძანებაა, თეორიები, იცოცხლე არ გვაკლია, მაგრამ ჩვენს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არცრა სიკეთე არ ეტყობა.

— ვაი, ვაი, რომ რუსეთსა და ამერიკას შუა მოქცეულნი იმ საბრალო კოზაკსა დაგვამგვანეს, ორ კუზიან აქლემს შორის რომ იჭყლიტება.



### ლაშაობა – 2014



## „ერთი კალათა სოფელი და ობლის ცრემლივით ცამდე მართალი პოეტი"

28

## ბათუმური „კარმენი" და იუბილარი რეჟისორი...

25

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..



# დედაქალაქის იერსახეზე არქიტექტორები მსჯელობენ

**თბილისის არქიტექტურის სამსახურის თანამშრომლების და არქიტეტორების შეხვედრაზე დედაქალაქში განსახორციელებელ პროექტებზე იმსჯელეს.**

**როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ თბილისის მერის მოადგილე ნინა ხატისკაცმა განაცხადა, არქიტექტორებთან შეხვედრა აუცილებელია, რადგან ქალაქის განვითარებაში მათი ჩართულობა უნდა მოხდეს.**

„ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო როგორ გავააქტიუროთ არქიტექტორები, რომ ღია კონკურსებში მიიღონ მონაწილეობა. კონკურსი კონკურსისთვის არ ჩატარდება და ეს ჩატარდება იმისათვის, რომ საუკეთესო პროექტი გამოიკვეთოს. ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ უნდა იყვნენ თავად არქიტექტორები ჩართული, როგორ მოხდეს ფართო საზოგადოების ჩართვა განხილვის პროცესში და ასევე ვისაუბრეთ სამომავლო გეგმებზე„" — განაცხადა ხატისკაცმა.

მისი თქმით, შეხვედრაზე საუბარი იყო რამდენიმე კონკრეტულ პროექტზეც ეს შეეხებოდა მთაწმინდის მიმართულებით საბაგიროს მშენებლობასა და პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენას.

არქიტექტორი ნიკოლოზ აბაშიძე შეხვედრას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ მერიის მხრიდან ძალიან კარგი წამოწყებაა, რომ არქიტეტორებთან კომუნიკაცია დაიწყო.

**პოლემიკა ვაშინგტონში**

## არჩილ გეგეშიძე მიხეილ სააკაშვილს: თქვენ ქართველობას ფეოდალური მენტალიტეტი დააბრალეთ

**ვაშინგტონში,** CATO-ს **ინსტიტუტის მიმდინარე კონფერენციაზე საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და აშშ-ში საქართველოს ელჩს არჩილ გეგეშიძის შორის დისკუსია გაიმართა.**

კონფერენციაზე, რომლის თემა იყო „კომუნიზმის ტრანსფორმაცია ბერლინის კედლის დანგრევიდან 25 წლის შემდეგ: გაკვეთილები არათავისუფალი საზოგადოებებისათვის" მიხეილ სააკაშვილი სიტყვით გამოვიდა, შემდეგ კი დამსწრე საზოგადოების კითხვებს უპასუხა. სიტყვა ითხოვა არჩილ გეგეშიძემაც, რომელმაც აღნიშნა, რომ შეკითხვა არა, თუმცა შემდეგი რეპლიკა აქვს:

**„ჩვენ მრავალი წელია, ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და დიდ პატივს გცემთ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ველოდი თქვენგან უფრო სრული სურათის აღწერას, რა მოხდა ან რა ხდება დღეს საქართველოში და მის ირგვლივ. სამწუხაროდ, თქვენს გამოსვლაში დავინახე წარსულისა და აწმყოს დამახინჯებული სურათი. რა თქმა უნდა, 2003 წლის შემდეგ მნიშვნელოვანმა ტრანსფორმაციამ საქართველოს ცვლილებები მოუტანა: სინათლე აინთო სახლებში, ქუჩები უსაფრთხო გახდა, სახელმწიფო სამსახურები გაიწმინდა კორუფციისგან, მაგრამ აღმოსავლური ბრძნული გამონათქვამის მიხედვით, ყველაფერი რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის. სამწუხაროდ, ეს ცვლილება მოხდა სადამსჯელო ძალის მხრიდან დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტების ხარჯზე. რაღაც ეტაპზე ამან ბიძგი მისცა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. სწორედ ეს დასრულდა 2012 წლის არჩევნებით. ველოდი თქვენგან იმის ახსნას, თუ რატომ უნდა მიეცა ხალხს ხმა თქვენს წინააღმდეგ. თქვენ თქვით, რომ ეს მოხდა ფეოდალური მენტალიტეტის გამო, რაც ქართველებისთვის ნაცნობია და რომ წარსულზე ორიენტირებული ადამიანები ვერ იგებენ, რა არის პროგრესი, მაგრამ რეალურად ჩვენ ვნახეთ ისეთი მმართველობა, რომელიც ქართველი ხალხისთვის მიუღებელი იყო",** — განაცხადა არჩილ გეგეშიძემ.





ელჩის რეპლიკას მიხეილ სააკაშვილმა უპასუხა.

**„გიპასუხებთ სინგაპურის ყოფილი ლიდერის სიტყვებით, ის თავის წიგნში ამბობს, რომ ნებისმიერ წარმატებულ მთავრობას ხალხი მაქსიმუმ 10 წელიწადში გადაირჩევს თავისუფალი არჩევნების გზით, რადგან ხალხს ცვლილება უნდა. მან ასევე თქვა, რომ სწორედ ამის გამო არ ჩაატარა თავისუფალი არჩევნები, მაგრამ ჩვენ ჩავატარეთ და ხალხს მივეცით არჩევანის გაკეთების საშუალება. მათ აირჩიეს ის, რაც უკეთესი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, არჩევნები საფასურს მოითხოვს. როდესაც ვსაუბრობ ფეოდალურ მენტალიტეტზე, ვგულისხმობ კორუმპირებულ ელიტას, რომელიც ჩემი ქვეყნის სათავეში დაბრუნდა. Facebook-ით მივმართე ჩემს ხალხს და გავაცანი ჩემი სამომავლო პროგრამა, ამას არ გავაკეთებდი, დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი ქართველების კრეატიულობაში და არც აქ ვიქნებოდით. ის რეფორმები, რომლებიც გავატარეთ, ის შენობები, რომელიც ავაშენეთ — ეს მათ გააკეთეს და ამით ვამაყობ. ბატონო ელჩო, თქვენი მდგომარეობის ნამდვილად არ მშურს. აქ არიან ყოფილი ელჩები, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ აზრის გამოხატვა და ამას გისურვებთ თქვენც. თქვენ თქვით, რომ რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის, მაგრამ არსებობს მეორე გამოთქმაც: შეიძლება ოქრო არ იყო რაც ბრწყინავდა, მაგრამ ხომ ბრწყინავდა? ხალხი ფიქრობს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდის",** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

კონფერენციის შემდეგ არჩილ გეგეშიძემ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილმა ყველაფერი შავთეთრ ფერებში წარმოადგინა, მაშინ როდესაც ყველა ნიშნით საქართველო დღეს უფრო თავისუფალია, ვიდრე მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს.

ექს-პრეზიდენტმა კი თავის მხრივ, აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ გამოაგზავნა ელჩი და საელჩოს თანამშრომლები ლონისძიებაზე მიხეილ სააკაშვილთან საპოლემიკოდ, მაშინ როდესაც საქართველოს ყველა ელჩი და განსაკუთრებით ელჩი ვაშინგტონში, დღეს უნდა ატალახებდეს სახელმწიფო დეპარტამენტის და აშშ-ის ხელისუფლების კარს, ლაპარაკობდეს საქართველოს სუვერენიტეტის საფრთხეებზე და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე იმის ნაცვლად, რომ შიდაპოლიტიკურ დავებს არჩევდეს.

**ალიანჩალიანი**

## საბერძნეთის სასამართლომ დათა ახალაიას ექსტრადიციაზე უარი თქვა

**ამის შესახებ ბაჩო ახალაიას მეუღლემ ანი ნადარეიშვილმა განაცხადა.**

**მისი თქმით, საბერძნეთში მყოფი ახლობლებისგან შეიტყო, რომ რამდენიმეთვიანი განხილვის შემდეგ, საბერძნეთის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ქართული მხარის მოთხოვნა დათა ახალაიას ექსტრადიციაზე.**

**ანი ნადარეიშვილის ინფორმაციით, საბერძნეთში იმყოფებიან უმცირესობის დეპუტატები აკაკი მინაშვილი და როლანდ ახალაია, ასევე დათა ახალაიას ოჯახის სხვა წევრები.**

**კუდ-ის ყოფილი უფროსი დათა ახალაია საბერძნეთში რამდენიმე თვის წინ დააკავეს. არსებული ინფორმაციით, იგი საბერძნეთიდან იტალიაში ყალბი საბუთებით გადასვლას ცდილობდა. ახალაიას გირაოს სახით 100 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა და თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.**

**საქართველოში დათა ახალიას წინააღმდეგ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მათ შორის ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის და გირგვლიანის მკვლელობის საქმე.**



## სემეკმა მოქალაქეებს 15 000 ლარამდე დავალიანება ჩამოაწერა

**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ საჯარო სხდომაზე მოქალაქეებსა და კომპანიებს შორის არსებულ დავებზე იმსჯელა და მათი უმრავლესობა მოქალაქეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.**

**კომისიამ განიხილა მოქალაქეებსა და „თელასს" შორის არსებული სადავო საკითხები ხანდაზმული დავალიანებების შესახებ და ამ მიმართულებით კომისიის მიერ ჩამოწერილი თანხების ოდენობამ მთლიანობაში 10 422 46 ლარი შეადგინა.**

**ასევე დაკმაყოფილდა მოქალაქეთა საჩივრები შპს „სოკარ ჯორჯია გაზი — იმერეთის" წინააღმდეგ. მოქალაქეები კომპანიის მიერ მრიცხველის შეძენის საფასურად 145 ლარის მოთხოვნას ასაჩივრებდნენ. კომისიის გადაწყვეტილებით, 16 ოქტომბრის საჯარო სხდომაზე ამ მიმართულებით ჩამოწერილი თანხების ოდენობამ 3770 ლარი შეადგინა.**

**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის განცხადებით, ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც თვლის, რომ ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში კომპანიების მხრიდან ირღვევა მისი უფლებები, შეუძლია მომართოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას მიცკევიჩის ქ. №19-ში. კომისია ყველა განცხადება/საჩივარზე ინდივიდუალურად იმსჯელებს.**

## ელისო ბოლქვაძეს პირველად საქართველოში მშვიდობის ელჩის წოდება მიენიჭა

**UNESCO-ს გენერალური დირექტორის ირინა ბოკოვას გადაწყვეტილებით, გამოჩენილ ქართველ პიანისტს ელისო ბოლქვაძეს UNESCO-ს „ხელოვანი მშვიდობისთვის" წოდება მიენიჭა.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ეს პირველი შემთხვევაა საქართველოს ისტორიაში, როდესაც UNESCO-ს წოდება საქართველოს მიერ წარდგენილ კანდიდატს ენიჭება.**



UNESCO-ს ხელოვანები მშვიდობისთვის არიან კულტურის დარგში მოღვაწე გამოჩენილი პიროვნებები, რომლებიც მზად არიან, გამოიყენონ საკუთარი სახელი და სტატუსი ორგანიზაციის ღირებულებებისა და მთავარი მიზნების პოპულარიზაციისთვის. ძირითადად ეს არიან გამოჩენილი ადამიანები, ვინც თავისი წარმატებული კარიერის განმავლობაში უკვე დიდი წვლილი შეიტანეს UNESCO-ს კომპეტენციაში არსებული სფეროების განვითარებაში.

ელისო ბოლქვაძისთვის ამ მაღალი სტატუსის მინიჭების საფუძველი გახდა არა მარტო მისი პროფესიონალიზმი, არამედ წლების განმავლობაში გაწეული აქტიური საქველმოქმედო მოღვაწეობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების მხარდაჭერა ფონდ „ლირას" მეშვეობით.

ტიტულის მინიჭება მოხდება ოფიციალურ ცერემონიაზე UNESCO-ს სათაო ოფისში, პარიზში. საგარეო საქმეთა მინისტრი, მაია ფანჯიკიძე ტელეფონით ესაუბრა მუსიკოსს, მოულოცა ეს მნიშვნელოვანი წარმატება და მისი სტატუსის მანდატით გათვალისწინებულ საქმიანობაში მხარდაჭერა აღუთქვა.

დღეისათვის „ხელოვანი მშვიდობისთვის" სტატუსს ატარებს მსოფლიოს 54 ხელოვანი. მათ შორის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორიცაა ხოაკინ კორტესი, სელინ დიონი, ვლადიმირ სპივაკოვი, დანილო პერესი, მარკუს მილერი და სხვა.

„მინდა, მივუსამძიმრო ჩვენს აფხაზ თანამოქალაქეებს ის პერსპექტივა, რომელიც მათ ელოდებათ ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. როდესაც სრულიად „დაკანონებული“ გზით და ხაჯიმბას დამსახურებით, აფხაზეთის მიწის მეპატრონე გახდება რუსული ოლიგარქიული კაპიტალი“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას, პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი. მისივე განცხადებით, აფხაზეთის საკითხი უნდა გახდეს უპირველესი და ეროვნული პრიორიტეტი, არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მთლიანად საქართველოს მოსახლეობისთვის.

for.ge **სოსო ცისკარიშვილს** ესაუბრა.

# „რუსეთი ყირიმის მსგავსი მოდელის შექმნას აფხაზეთშიც ფიქრობს“

**— რუსეთსა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ შესახებ შეთანხმების პროექტის განხილვა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ საპასუხო ნაბიჯია რუსეთის მხრიდან?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს იდეა მოსკოვში გასულ კვირას არ გაჩენილა. ვიდრე მოხდებოდა აფხაზეთის ოკუპაცია, ეს გეგმა უკვე არსებობდა. ჩვენ უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ ტერმინი „ოკუპირებული აფხაზეთი“ თანდათან დაუახლოვდება რეალობას. საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი მეგობრები დღემდე გაუგებრობაში იყვნენ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით ოკუპირებულ აფხაზეთზე. არც ერთ მოსახლეს ამის გამო რაიმე ხინჯი გულში არ ჰქონია. მშვიდად, კმაყოფილნი იყვნენ საკუთარი ქვეყნის ოკუპირების გამო. ეს მუდმივად იწვევდა გამოუთქმელ ეჭვს ჩვენს პარტნიორებში, რომ აფხაზეთი არაა ოკუპირებული ტერიტორია, მას შეიძლება რაიმე სხვა სტატუსი ჰქონოდა.

როგორც წესი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტები მშვიდად არ იძინებენ და არ იღვიძებენ, როგორც ეს აქამდე ხდებოდა აფხაზეთში. ჩვენს მიერ ოკუპანტად წოდებულმა რუსეთმა ჩამოიხსნა ყველა ნიღაბი და ცდილობს, რომ უკვე დოკუმენტალურად გააფორმოს საკუთარი უფლება-მოსილება აფხაზეთის ტერიტორიაზე. ეს იმ კუთხითაც შეიძლება განვიხილოთ და გავიხსენოთ ფილმი „ზოგი ჭირი მარგებელია.“ უკვე ალარავის დარჩება კითხვა მსოფლიოს მასშტაბით, თუ რა მიდრეკილებები ედო საფუძვლად რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ოკუპირებას.

ამ ჭირის მარგებლობაზე იქიდან გამომდინარე ვსაუბრობ, რომ დღევანდელ აფხაზურ პარლამენტში მაღალი თანამდებობის პირებიც ღიად საუბრობენ ასეთი დოქტრინის მიუღებლობაზე. მინდა, მივუსამძიმრო ჩვენს აფხაზ თანამოქალაქეებს ის პრესპექტივა, რომელიც მათ ელოდებათ ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. როდესაც სრულიად „დაკანონებული“ გზით და ხაჯიმბას დამსახურებით, აფხაზეთის მიწის მეპატრონე გახდება რუსული ოლიგარქიული კაპიტალი.

**— ე.წ. „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ შესახებ შეთანხმების პროექტი, ადასტურებს, რომ საქართველო რუსეთის მხრიდან ახალი აგრესიული ქმედების რეალური საფრთხის წინაშე დგას?**

— რასაკვირველია. ის, რომ საფრთხე რეალური იყო, ამაზე საუბარი არაერთხელ ყოფილა. დღევანდელ ხელისუფლებას მეტი ვალდებულებები ეკისრება. გარკვეული დუმილის შემდეგ, ხელისუფლების მხრიდან, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის თემაზე ალაპარაკება, შეიძლება იყოს გარკვეული კატალიზატორი განაჩენისა, რომელიც კრემლმა აფხაზეთს გამოუტანა. ქართველებს გვმართებს მეტი გონიერება, რომ ერთმანეთისგან გავმიჯნოთ აფხაზური პატრიოტიზმი და რუსული აგრესია. საკუთარ თავში უნდა ვიპოვოთ იმის ძალა, რომ აფხაზებს საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი არ დაეკარგოთ. დადგა დრო, როდესაც ქართველებმა და აფხაზებმა ერთად უნდა გააგრძელონ ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ.




**— კრემლის ეს ნაბიჯი არის გარკვეული მცდელობა ან თუნდაც შანტაჟი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვას ევროპულ არჩევანზე?**

— ამის საფუძველი რუსეთს არა აქვს. ქართველი ერის ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანი დიდწილად სათავეს იღებს კრემლის ვერაგული ქმედებების გამო. თუ ვინმე ცდილობდა, რომ მათ წიაღს საკუთარი ქმედებით დავშორებოდით, ეს სწორედ რუსეთი და მისი ლიდერები იყვნენ. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ჩვენ არაერთი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ რუსეთთან სიახლოვე არის მთავარი საფრთხე საქართველოს პერსპექტივისთვის. კრემლის ბოლო ნაბიჯი კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ მოსაზრებას.

დღეს უკვე მკაფიოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველგვარი პოლიტიკური ვექტორის ცვლილების გარეშე, რუსეთმა მონახა დრო, როდესაც ისედაც მიჭირხვნილია დასავლეთის მიერ და ბარემ რატომაც არაო და ფიქრობს ყირიმის მსგავსი მოდელი შექმნას აფხაზეთშიც. თუ გახსოვთ, სწორედ, ასეთი მოდელის არდაუშვებლობის განცხადების შემდეგ დასრულდა ალექსანდრე ანქვაბის პოლიტიკური კარიერა.

**— რა ქმედითი ნაბიჯი უნდა გადადგას საქართველოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ყირიმის ანალოგი არ შეიქმნას აფხაზეთში? კარასინი-აბაშიძის შეხვედრის ფორმატი ადეკვატურია ამ პრობლემის მოგვარებსათვის.**

— კარასინი-აბაშიძის ფორმატი არაა ადეკვატური იმ პრობლემებისა, რომელზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ. პრაქტიკულად, ისინი ინფორმაციის გაცვლის რეჟიმში საქმიანობენ. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია ის, რომ ბატონი აბაშიძე ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს სახელმწიფოს, ის არის საქართველოს მთავრობის მეთაურის პირადი წარმომადგენელი. კარასინი ვის და რას წარმოადგენს, ეს დღემდე უცნობია. მგონია, რომ დადგა დრო, საქართველოს პარლამენტმა ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატის ცვლილების საკითხი დააყენოს.

ამდენწლიანი უშედეგო ძალისხმევა, ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა შეფასდეს?! ჩვენ მოწმენი ვართ, რომ ჟენევის ფორმატი კრემლის სურვილების შესანიშნავი თავშესაფარია. მისი მუდმივი სწრაფვაა, რომ არანაირი შედეგი არ დადგეს კონფლიქტის დასრულების სახით. ნამდვილად ვფლობ დამაჯერებელ ინფორმაციას, რომ ყარაბახის კონფლიქტი დაიწყო სწორედ რუსეთის გეგმით, როდესაც საბჭოთა ჯარისკაცებს ერთმანეთს ახოცინებდნენ სომხებისა და აზერბაიჯანლების სახელით და შემდგომ ასე განაგრძეს ამ ორი ერის დაპირისპირება წლების განმავლობაში, ვიდრე რეალურ კონფლიქტში არ გადაიზარდა.

ჩვენ, რუსეთის ეს გეგმა თავიდან უნდა ავიცილოთ, რადგან ასეთი ჩანაფიქრი რუსეთს აფხაზეთთან მიმართებაში ექნება. არ უნდა დავუშვათ იმის აზრი, რომ აფხაზები და ქართველები ერთმანეთის სროლას დაუწყებენ. ასეთი რეპერტუარი კრემლს საკუთარ სცენარში აქვს. იმედია, რომ ჩვენი ისტორიული სიბრძნე მოგცემს საშუალებას, ადეკვატურნი ვიყოთ ასეთი დაპირისპირების პირობებში.

ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის საკითხი უნდა გახდეს უპირველესი და ეროვნული პრიორიტეტი, არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მთლიანად საქართველოს მოსახლეობისთვის. არ შეიძლება გულზე ხელდაკრეფილებმა საღამოობით ვუყუროთ ახალ ამბებს და ვაკრიტიკოთ ხელისუფლება და ოპოზიცია.

**— საკმარისი ძალისხმევა არაა მიმართული კონფლიქტური რეგიონების მიმართულებით?**

— არა და ეს აისახება კიდევაც იმ გამოკითხვებშიც, რომელსაც დაუზარებლად ატარებენ ჩვენი დასავლელი მეგობრები. როცა ჩვენი უცხოელი პარტნიორები აკვირდებიან ამ გამოკითხვის შედეგებს, აცნობიერებენ, რომ დაკარგული ტერიტორიები, ოკუპირებული აფხაზეთი მოსახლეობის პრობლემების პირველ ხუთეულში არ ჩანს. რასაკვირველია, მათ აქვთ საფუძველი, იფიქრონ პირველ ხუთ პრობლემაზე.

ამიტომ, ვეცადოთ, რომ ეს საკითხი გახდეს უპირატესი, ყველა ჩვენს სხვა სირთულესთან ერთად. ამას სჭირდება ძალიან გონივრული ნაბიჯების გადადგმა, ქართული საზოგადოება უნდა იყოს კატალიზატორი ხელისუფლების ქმედებისა. ჩვენ ვართ მილიონები, ხელისუფლება კი რამდენიმე ათეული კაცისგან შედგება. თუ აფხაზეთი მართლა არის ერის სატკივარი, მოდით, ჯერ, საკუთარი თავი დავარწმუნოთ ამაში.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არაა უმთავრესი და პრინციპული საკითხი ხელისუფლებისთვის ოკუპირებული ტერიტორიები, ისევე როგორც წინა ხელისუფლება, ახალი ხელისუფლებაც ამ მიმართულებით არაა აქტიური. რა არის მიზეზი, პოლიტიკური ნების არარსებობა, თუ ხელისუფლება ცდილობს, არ გააღიზიანოს რუსეთი?**

— საქართველოს ორმა უკანასკნელმა ხელისუფლებამ დიამეტრალურად სხვადასხვა რეცეპტი გამოიყენა რუსეთთან საურთიერთოდ. ერთი მუდმივად ცდილობდა მის გაღიზიანებას და დადგა კიდევაც ის შედეგი, რაც გვაქვს. ხოლო მეორე, გამომდინარე იქიდან, რომ საკუთარ შეცდომებზე უნდა ისწავლო, არჩევს უფრო მშვიდობიანი თანაარსებობის გზას. ვფიქრობ, რომ მეორე გზა უფრო მომგებიანია, თუ იგი გათვლილია პერსპექტივის იმ სიღრმეებამდე, რასაც ჰქვია კონფლიქტების მოგვარება და არა მხოლოდ თავის გადარჩენა.

**თამთა ქარჩავა**

## ◉ კაკალ გულში

### წიხლიკრავანი თეზისები

● მხარს ვუჭერ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ვშფოთავ უკრაინში განვითარებულ მოვლენებზე.

არ მომწონს რუსეთის ქმედება, მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგება, არანაირ აქტივობას არ ვიჩენ

შემიძლია არაფრისმთქმელად გავიღიმო.

ევროკავშირში თუ არა, მერიაში მაინც დამნიშნეთ!!!

● ხალხო, „იმედზე“ ჩერტკოევია!!!

რა კარგია, როცა უყურებ და გგონია რომ გარეთ ყველაფერი კარგადა, უბრალოდ შენთან არის უმუშევრობა, გადაუხდელი დენის ქვითარი დ.ა.შ. უყურებ და გჯერა, რომ სულ მალე შენც იმის მეტი პრობლემა აღარ შეგაწუხებს, თუ ვინ გაიმარჯვებს „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ და გამალებით დაუმესიჯებ შენს ფავორიტს. ჯიგრები ხართ დუტა, ჩერტკო და მარგიშვილო!

● აიწონა-დაიწონა

აქეთ: ხელფასი — სახელფასო დანამატი, ჯამაგირი — საჯამაგირო დანამატი, გასამრჯელო — საგასამრჯელო დანამატი, სარგო — სასარგოო დანამატი, პრემია — საპრემიო დანამატი.

იქით: საქმე.

● ისე, რა შეიცხადეს ამ ჟურნალისტ-პედერასტებმა ღარიბაშვილის განცხადება, ნაციონალური მოძრაობის გატაცებებთან კავშირის შესახებ?!

რა, არ იზამდნენ?

გვარიშვილობა დაუშლით ხელს მაგ სპირიდონასულანჯიებს თუ აღზრდა? იქნებ მე ვაკეთებდი ჟურნალისტურ გამოძიებებს მსგავს გატაცება-გამოძალვებზე ადრე?

რა, არ იტაცებდნენ?

არ ჰყავდათ მაღალმთიანი სამეგრელოდან უსაქმური ბოგანოები მაგ საქმისთვის კუდებ-სოდებში დანიშნულ-დასაქმებულები?

იქნებ არასწორედ მახსოვს რამე?

იქნებ დაგვესიზმრა მაგათი მმართველობის 9 წელი?!

● საინტერესო ისაა? რომ, აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულების წინააღმდეგია...

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძე**

## ◉ ალიანჩალიანი

### საქართველოს საგარეო ვაჭრობამ იანვარ-სექტემბერში 8 376 მლნ დოლარი შეადგინა

ეს წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 10%-ით მეტია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან აცნობეს, აქედან, ექსპორტი 2153 მლნ აშშ დოლარი იყო (7 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 6223 მლნ აშშ დოლარი (12 პროცენტით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წლის იანვარ-სექტემბერში 4070 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 49 პროცენტი შეადგინა.

**ინტერპრესი**



**იოსებ ბაჩიაშვილი** დაიბადა 1955 წლის 14 ივლისს ქ. თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლიანობის ინსტიტუტის ასპირანტურა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სპეციალობით. არის სამართლის დოქტორი, პროფესორი. 1982-1987 წ.წ. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, განყოფილების გამგედ; 1988-2009 წ.წ. იყო სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე, საქართველოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური დახმარების TACIS-ის ეროვნული კოორდინატორი; საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე; საერთაშორისო სამრეწველო-საფინანსო ჯგუფის ასოციაციის პრეზიდენტი; საქართველოს საელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, სრული პროფესორი; 2009 წლიდან დღემდე ვიცე-პრეზიდენტი; 2013 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე. არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი, მიღებული აქვს მონაწილეობა 50-ზე მეტი კანონპროექტის შემუშავებაში.

წელს იოსებ ბაჩიაშვილმა გამოსცა თავისი ვრცელი მონოგრაფიის – „ერი და დრო, ანუ გვიყვარს თუ არა ქართველებს საქართველო. ფილოსოფიური და ეკონომიურ სამართლებრივი ასპექტები“ – პირველი წიგნი. მონოგრაფიაში კრიტიკულ ჭრილში განხილულია საქართველოში არსებული დღევანდელი ვითარება და ფართო ფაქტობრივ და სტატისტიკურ მასალაზე დაყრდნობით გაანალიზებულია ის მიზეზები, რომლებმაც მიიყვანა ქვეყანა მძიმე კრიზისულ მდგომარეობამდე. ამასთან ერთად, ავტორი საზოგადოებას სთავაზობს ამ კრიზისის დაძლევის თავისეულ ხედვას.

წიგნის რედაქტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ჭითანავა, რომლის წინასიტყვაობაც უძღვის მონოგრაფიას. ქვემოთ გთავაზობთ ბატონ ნოდარ ჭითანავას ამ წინასიტყვაობას.

# არის თუ არა საქართველო მზად დროის გამოწვევების შესაბამისად, რომ ამჯერად მაინც გადადგას შეუმცდარი ნაბიჯები?

საქართველო თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების ეპიცენტრში აღმოჩნდა. ქვეყანა ახალ-ახალი, მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი (ხშირად ურთიერთგამომრიცხავიც) გამოწვევების წინაშე დგას. დრო ბობოქრობს, იგი ახალ ეპოქას (ჯერ კიდევ ამოუცნობს) აყალიბებს. ერთი რამ ცხადია, რომ ეს ეპოქა არა მხოლოდ მკვეთრად განსხვავებული იქნება არსებულისაგან, არამედ იმ აბსტრაქციული სქემისაგანაც, რომელსაც მოელოდა ილუზიებში მყოფი, დემოკრატიაზე მეოცნებე ქართული საზოგადოება. ჩვენდა სამწუხაროდ, ისტორიულ გამოცდილებას ხშირად ვივიწყებთ, დრომ ბევრი ერი (ცივილიზაციაც) აღგავა პირისაგან მიწისა. ამასთან, დრომ დაგვიტოვა ისტორიული მეხსიერებაც. საქართველომ ქარტეხილებში გამოატარა დროსთან ადაპტირების (თავსებადობის) ეროვნული ენერგია, რომელიც მკაცრი ეპოქების გავლენით დანაწევრებული მეტ-ნაკლები მსხვერპლით უმკლავდებოდა, როგორც გარე, ასევე შიდა ფაქტორების ერთობლივი მოქმედებით ჩამოყალიბებულ გამოწვევებს (წინააღმდეგობებს). ქართველმა ხალხმა მოახერხა ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნება, ახლა კი კვლავაც დადგა ფორმირებულ გლობალურ სივრცეში ქართველი ფენომენის თვითრეგულირების უნარის შენარჩუნება-განმტკიცების ისტორიული და საგანგებო ამოცანა.

დროსთან ჭიდილში ქვეყანას შეზღუდული არჩევანი აქვს - ორიდან ერთი: დროსთან თავსებადობის (ეროვნული ფენომენის გათანამედროვეობით) უნარი შეინარჩუნოს ან გლობალური პროცესების პერიფერიაზე მილევად სახელმწიფო წარმონაქმნად დარჩეს და დროის მკაცრ (წინასწარ ცნობილ) განაჩენს დაელოდოს.

ქვეყანა ურთულესი ამოცანების წინაშე დგას. ერთი მხრივ, არაეფექტიანი საბაზრო ეკონომიკა, მწვავე სოციალური პრობლემები, ფუჭი ილუზიები, რომ ვიღაც მოწყალების თვალით გადმოგვხედავს, ყოველმხრივ შეეცდება დროსა და სივრცეში დანაწევრებული ეროვნული პოტენციალი აღგვიდგინოს, მეორე მხრივ, გულგრილობა, უპასუხისმგებლობა, გათითოკაცების სინდრომი, ინერციით შენარჩუნებული კრიმინალური აზროვნება, მესამე მხრივ, განვითარების, გარღვევის სტრატეგიის ხელშემწყობით პირობები და ფაქტორები (ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და გეოეკონიმიკური გარემო, მსოფლიო თანამეგობრობის აქტიური მხარდაჭერა და სხვ.). ასეთია სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების საერთო ფონი.

არის მზად საქართველო დროის გამოწვევების შესაბამისად საკუთარ პოტენციალზე დაყრდნობით სწორი სტრატეგიული არჩევანი გააკეთოს? ამჯერად მაინც, შეუმცდარი ნაბიჯი გადადგას?

ამ ლოგიკურად დასმულ კითხვებზე დამაჯერებელ პასუხს, ქვეყნის ცხოვრების ამჟამინდელი დონის კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ ანალიზს, შეფასებას, დასკვნებს იძლევა წინამდებარე ნაშრომი – პოლიტიკური და ეკონომიკურ-სამართლებრივი სამეცნიერო ნარკვევი. იგი ორიგინალურია და გლობალური, ნაციონალური და რეგიონული ხედვებით გამოირჩევა. თუნდაც ერთ სიბრტყეზე ერისა და დროის ფაქტორის ურთიერთდამოკიდებულების მუდმივად არსებული პრობლემის ახალი რაკურსით დაყენება, მით უმეტეს, სისტემური განხილვა და მეცნიერულად არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება ავტორის ფართო ერუდიციაზე, მაღალ ინტელექტუალურ დონეზე, თანამედროვე მეცნიერული პრინციპების მიხედვით კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომების განსაზღვრის უნარზე მიუთითებს.

> „გვეყო, ბატონებო, ჩვენი აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება, ჩვენი გაჭირვების, გულის ტკივილისა და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყოთ“.
>
> ილია ჭავჭავაძე.

ნაშრომი (მკითხველი ამაში თავად დარწმუნდება) არის მკვლევარის წარმატებული მცდელობა ახალი პარადიგმის – გლობალური აზროვნების, ლიკალური მოქმედებისა და სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ერთიანობის საფუძველზე წარმოადგინოს საქართველოს განვითარების დღევანდელი დონე, მისი ძირითადი ტენდენციები და თავისებურებები, გამომწვევი მიზეზები (ფაქტორები, პირობები, გარე და შიდა წინააღმდეგობები, სტერეოტიპების მსხვრევის ინერცია და სხვ.) და სტრატეგიული ორიენტაციები.

ავტორმა შეძლო უკანასკნელ წლებში საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები განეხილა როგორც მთლიანობითი მოვლენა, მთელისა და ნაწილის ერთიანობის პრინციპის დაცვით. ქვეყნის განვითარების ყველა მხარე ცალ-ცალკე გაანალიზებულია და შეფასებულიც. თითოეული მხარე (ასპექტი) წარმოდგენილია თანამედროვე მეცნიერული ხედვებით, განსხვავებული პოზიციების შეჯერებით და ადეკვატური დასკვნებით. ამასთან ყველა მათგანი განხილულია ურთიერთგანპირობებულობის, შიდაკავშირების ხარისხის გათვალისწინებით.

ამრიგად, კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად წარმოდგენილი ნაშრომი იძლევა ქვეყნის ზიგზაგისებური განვითარების, სხვადასხვა პარადიგმების დაპირისპირებით ჩამოყალიბებულ პროცეს-ნაკადების, ზნეობრივი პრინციპების, ყალბად გაგებულ დემოკრატიულ ფასეულობებში ათქვეფის ხელშემწყობი პირობების, ახალი ტიპის სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების დროის მოთხოვნებთან არაადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის შედეგების მკაცრი, მაგრამ მეცნიერულად არგუმენტურებულ შეფასებას. ფაქტობრივად, ნაშრომი ქვეყნის დღევანდელი ცხოვრების რეალურ სურათს გვაძლევს, თანაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების აქტიურ სუბიექტთა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული პრინციპებით თანაარსებობის გარემოს დახასიათებით.




ნაშრომის უნიკალურობა გამოიხატება იმაში, რომ ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობის სწორი ანალიზი - შეფასებასთან ერთად, ცალ-ცალკე და ერთად ნაჩვენებია მდგომარეობის თვისებრივად შეცვლის კონკრეტული გზები. სწორედ აქ გამოჩნდა ავტორის მეცნიერული კეთილსინდისიერება: პროცსები (მოვლენები) ახსნას ობიექტურად და არა „მტრის ხატის“ მუდმივად ძიების კონტექსტში, რათა დამდგარი შედეგი მავანს დაბრალდეს და ამით დასრულდეს სათქმელი.

ავტორი შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს გვთავაზობს (შეიძლება ზოგიერთი რამ საკამათოც იყოს) და მოგვიწოდებს, ერთად დავდგეთ, ერთად ვიზრუნოთ ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანისათვის. ავტორი, უპირველეს ყოვლისა, პატრიოტია, გულწრფელია, პრინციპულია, ობიექტურია, ოპტიმისტია. ამიტომ იგი ყოველმხრივ ნდობას იმსახურებს. ეჭვი არ მეპარება, რომ წიგნის წაკითხვის შემდეგ, მკითხველს გაუჩნდეს კითხვა – რა ვქნათ? და დამაჯერებელი პასუხიც იქვე გაჩნდეს: „გვეყო ბატონებო ჩვენი აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება, ჩვენი გაჭირვების, გულის ტკივილისა და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ“ (ილია). აქეთკენ მოგვიწოდებს წინამდებარე ნაშრომიც.

ჩვენი მიზანი არ არის, მკითხველს თავს მოვახვიოთ ამ ნაშრომის ჩვენეული შეფასებები, მაგრამ გვინდა, განვაწყოთ იგი ნაშრომის წაკითხვისაკენ, რაც, პირველ რიგში, მისთვის იქნება სასარგებლო, თუ მას აინტერესებს საქართველოს განვითარების ბედ-იღბალი, როგორია მისი დღევანდელობა, საით მიდის ქვეყანა, რა უნდა გაკეთდეს მისი ბედნიერი მომავლისათვის.

წინამდებარე ნაშრომი ფიქრებს აღძრავს, ალტერნატიული მიდგომების ძიებას შეუწყობს ხელს, ბევრს ოპტიმისტურად განაწყობს და სარგებლობას მოუტანს ყველას, ვინც ქვეყნის განვითარების პრობლემებით არის დაინტერესებული.

დადგა ისტორიული ჟამი: ქართველობამ თვალი გაუსწოროს თავის დროზე დასმულ კითხვებს: ნუ, უკვე ჩვენ არ ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენისა? ნუ, უკვე ჩვენ არღა ძალგვიძს შენახვა საკუთარი მამულისა ჩვენისა? ნუ, უკვე ჩვენ არღარა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამა-პაპათა? და მტკიცედ და უყოყმანოდ მხარი დაუჭიროს შეკითხვების ავტორის სოლომონ დოდაშვილის ყოვლის მომცველ პასუხს: „მაშ, რაისთვისღა ცოცხალ ვართ“?!

წინამდებარე ნაშრომი ამ სულისკვეთებით შეიქმნა და გვიხმობს ერთიანობისაკენ, რათა საერთო ძალისხმევით “ჩვენს გულისტკივილსა და წადილს“ ჩვენვე ვუპატრონოთ და შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ სამშობლო ჩვენი.

**ნოდარ ჭითანავა,**
**პროფესორი**

# კაცი, რომელიც დედაქალაქის დასაპურებლად ზრუნავს

**დღეს მოგითხრობთ ნოზაძეთა სახელოვანი გვარის ღირსეულ წარმომადგენელზე, სიკეთითა და ქველმოქმედებით გამორჩეულ კაცზე — ელგუჯა ნოზაძეზე.**

ის უბრალოებით, შრომისმოყვარეობით, ღვთიური მადლით განათებულ ოჯახში გაიზარდა და ბავშვობიდანვე საკუთარი ბედის მჭედელი გახდა. ბუნებრივია, ტრადიციულ ქართულ ოჯახში მშობლებმა ჩაუნერგეს უფლისა და შრომის სიყვარული. მისთვის უცხო არასოდეს ყოფილა მძიმე ფიზიკური წრთობა. გამჭრიახი გონებისა და ბუნებრივი ნიჭის წყალობით, სიჭაბუკიდანვე ნებისმიერი დავალების პირნათლად შემსრულებელი იყო. ელგუჯა ნოზაძე სიახლეთა ძიების, პატიოსნების, შრომისმოყვარეობისა და კაცური კაცობის ეტალონად ჩამოყალიბდა, პატარა თუ დიდ საქმეს შეჭიდებული, ყველგან განუზომელი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა და სარგებლობს.

ელგუჯა სეითის ძე ნოზაძე 1939 წლის 20 ოქტომბერს საჩხერის რაიონის ულამაზეს სოფელ ლიჩში დაიბადა. ამ სოფელში დღეს მხოლოდ 256 კაცი ცხოვრობს, არადა, მე-19 საუკუნეში, კერძოდ 1886 წელს, ლიჩში 1186 კაცი ცხოვრობდა! სოფლის ყველა მკვიდრი ეროვნებით ქართველი და მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, ასეა ამჟამადაც.

1956 წელს ელგუჯა ნოზაძემ წარმატებით დაამთავრა ლიჩის საშუალო სკოლა და ყოფილი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. ჯარში 1963 წლამდე მსახურობდა (ოდესის სამხედრო-საზღვაო ფლოტში. ბოლო ორი წელიწადი — მიჩმანის თანამდებობაზე იყო). ნიჭიერმა ახალგაზრდამ არმიიდან დემობილიზაციისთანავე მისაღები გამოცდები ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ავტომატიკა-ტელემექანიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1968 წელს დაამთავრა. პროფესიონალი ახალგაზრდა სპეციალისტი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 15 წელი თბილისის მეტროპოლიტენში მუშაობდა, სადაც 10 წელიწადი კავშირგაბმულობის სამსახურის მთავარი ინჟინრის თანამდებობაც ეკავა.

1983 წელს ელგუჯა ნოზაძის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. მან სოფელ მუხრანში ააშენა მეფრინველეობის „მინი“ ფაბრიკა და მალე გამოავლინა მთელი თავისი ორგანიზატორული შესაძლებლობები.

ფაბრიკის ტერიტორია შესაძლოა სწორედ ის ადგილია, სადაც, ძველ დროში, სავარაუდოდ, სოფელი ნოზა მდებარეობდა. ვინ იცის, იქნებ სწორედ აქედან იღებდეს სათავეს ნოზაძეების საგვარეულო, აქ იყოს მათი ფუძე და ფესვები. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ელგუჯა ნოზაძე განგების ნებით თავისი საწარმოს დასაფუძნებლად სწორედ ნოზაძეების პირველ საცხოვრისს დაუბრუნდა და ეს ბედნიერი დამთხვევაც იყოს (როგორც ისტორია გვასწავლის, სოფელი ნოზა მუხრანთან ახლოს უნდა ყოფილიყო გაშენებული).

ცხოვრებისეული გამოცდილების, ნიჭის, პატიოსანი ბიზნესის წყალობით ელგუჯა ნოზაძემ არნახულ წარატებებს მიაღწია. მაშინ, როდესაც აშენებული, მოქმედი მეფრინველეობის ფაბრიკები ზედიზედ იხურებოდა, ახალი ფაბრიკები კი ორ წელსაც ვერ უძლებდნენ კონკურენციას და კოტრდებოდნენ, მუხრანის საწარმომ სულ უფრო გააფართოვა მოქმედების არეალი და ქვეყანაში საუკეთესო პროდუქციის გამომშვები საწარმოს სახელი დაიმკვიდრა. მისი პროდუქცია მოწონებით სარგებლობს დედაქალაქში, სამომხმარებლო ბაზარზე ძირითადად მუხრანის ქათამზეა მოთხოვნილება, რომელიც ხარისხითა და გემოთი პირველობას არავის უთმობს.

ელგუჯა ნოზაძემ მეუღლესთან — ნანული კურტანიძესთან ერთად სამაგალითო ოჯახი შექმნა. მათ სამი შვილი აღუზარდეს სამშობლოს — მარინა, მადონა და მამუკა. სამივემ დიდებული ოჯახი შექმნა და... ჯერჯერობით ორ-ორი შვილი ჰყავთ. როცა საკუთარ ნამრავლს, შვილიშვილებს (ელგუჯა და გიორგი ნოზაძეებს, ნინო და ირაკლი ჩიხლაძეებს, კესარია და ელენე გიორგაძეებს) შეჰყურებს ღვაწლმოსილი, დამაშვრალი ბაბუა, მას დიდი პოეტის შოთა ნიშნიანიძის სიტყვები აგონდება: **„მოდის საქართველო, ე, თქვენი ჯიშისა, რომ მტერი ვერაგი კვდებოდეს შიშისგან“...**

ღმერთმა ამრავლოთ!

ელგუჯა ნოზაძის ოჯახისთვის დამახასიათებელი თვისებები — პატიოსნება, ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების პატივისცემა, უფროს-უმცროსის გარჩევა, სამაგალითო ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის და, რაც მთავარია, შრომის სიყვარული, თავისით არ მოსულა, ეს მათი მშობლების — სეითისა და მარიამის ოჯახის ცხოვრების წესის დამსახურება გახლავთ.



ელგუჯა ნოზაძის ოჯახი: მეუღლე ნანული (მარცხნიდან მეორე), შვილები მამუკა, მარინა, მადონა მამასთან ერთად.

**ნოზაძეთა საგვარეულო კავშირი — „ვიქტორ ნოზაძის საზოგადოება“ გულითადად ულოცავს საზოგადოების გამგეობის აქტიურ წევრს, ცნობილ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს, ბატონ ელგუჯა ნოზაძეს დაბადების 75 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობასა და დიდ ადამიანურ ბედნიერებას.**

ელგუჯა ნოზაძის წინაპრები მართლმადიდებლური სარწმუნოების წარმომადგენლები იყვნენ. მისი ბაბუა — გიორგი ნოზაძე, რომელიც საჩხერის რაიონის სოფელ მოძვის მკვიდრი იყო, საუკუნის წინათ ჩაასახლეს ამავე რაიონის სოფელ ლიჩში, სადაც ეკლესიას მღვდელი არ ჰყავდა. მას მისცეს სამი საგლეხო მიწა და ტყე. იგი დასახლდა ულამაზეს ძირულას ხეობაში და ემსახურებოდა სოფლებს: ხვანს, ჭალვანს, ლიჩს, ღოდორას, ქვედა ლიჩს და გორიჯვარს. ამ ხეობაში საცხოვრებლად გადმოვიდა გიორგის ძმაც — ანტონ ნოზაძე, რომელიც ასევე მღვდელი იყო და წირვა-ლოცვას აღავლენდა იმერეთის მიწაზე. ძმებმა იმდენი სიკეთე დათესეს, რომ ხეობის მცხოვრებლები დღესაც ლეგენდებს ყვებიან მათი მოღვაწეობის შესახებ.

გიორგი ნოზაძეს ჰყავდა არაჩვეულებრივი მეუღლე — კესარია ლომიძე-ნოზაძისა, რომელიც იმავე ხეობის მკვიდრი იყო. კესარია ლამაზი, მამაცი, უშიშარი და განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული ქალბატონი ყოფილა. გადმოცემით ის ამზადებდა სასწაულმოქმედ წამლებს, რომლებსაც არა მხოლოდ სამკურნალოდ, არამედ პროფილაქტიკის მიზნითაც იყენებდნენ. მისი ცხოვრებიდან ცნობილია ერთი მეტად საყურადღებო ისტორიული ფაქტი: ხეობაში ტიფის ეპიდემია გავრცელებულა. სახალხო მკურნალ კესარიას ყველა დაავადებულის განკურნება და გადარჩენა მოუხერხებია, მაგრამ თავადაც დაავადებულა ამ სენით. საკუთარი წამლებით თავადაც უმკურნალია და გამოჯანმრთელებულა კიდეც, მაგრამ მალე საჭმლის მომნელებელი სისტემა დაზიანებია და უეცრად გარდაცვლილა. ამის გამო შთამომავლებმა, სამწუხაროდ, ვერ მოასწრეს დაუფლებოდნენ მისი წამლების დამზადების საიდუმლოებას...

გიორგის და კესარიას 9 შვილი ჰყავდათ. ჩვენი ცნობილი მეწარმის — ელგუჯა ნოზაძის შტო მათი შვილის სეითის შთამომავალია. სეითი სამამულო ომის ვეტერანი, სხვადასხვა სოფლის ფინანსური განყოფილების გამგე და ძალზე აქტიური პიროვნება ყოფილა.

ელგუჯა ნოზაძის წინაპრები, მშრომელი, პატიოსანი და გამორჩეული ადამიანები იყვნენ, რომლებიც გულსა და სულს აქსოვდნენ თავიანთ საქმიანობაში, ინაწილებდნენ თანასოფლელების ლხინსა და ჭირს, იცავდნენ ქართული ოჯახის სიწმინდეს და ტრადიციებს. ელგუჯა ნოზაძის პიროვნებაც, როგორც უკვე ვთქვით, სწორედ ასეთ ოჯახში ჩამოყალიბდა. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ მანაც ბევრს გაუწოდა დახმარების ხელი, ბევრიც სწორ გზაზე დააყენა. როგორც ოჯახის უფროსი და მეწარმე, იგი თითით საჩვენებელი კაცია, მასაც, წინაპრების მსგავსად, ტრადიციული ოჯახი აქვს. სწორედ ასეთ ოჯახებს ემყარება ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, ჩვენი მომავალი, სწორედ ასეთ ოჯახებში განაგრძობს სიცოცხლეს ეროვნული სული, ის უნიკალური ურთიერთობები, რომლებიც თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას ალამაზებს.

**ელგუჯა ნოზაძის ნამოღვაწარი სამაგალითოდ დარჩება შთამომავლობას. მისი მოღვაწეობა ბიზნესის სფეროში არასოდეს შემოფარგლულა ვიწრო ინტერესებით. ამ მეტად რთულ და ცვალებად დროში იგი მთელ თავის შესაძლებლობებს, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის, თავისი ხალხის კეთილდღეობას ახმარს, ამავე დროს დიდი ნიჭის, შრომისმოყვარეობისა და საქმიანი კაცისთვის დამახასიათებელი თვისებების წყალობით, დიდ წარმატებებს აღწევს ბიზნესშიც. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ იგი ორჯერ ქვეყნის საუკეთესო ბიზნესმენად აღიარეს და 2004 წელს ღირსების ორდენითაც დააჯილდოვეს.**

**მთავარი ჯილდო, ბუნებრივია, ხალხის სიყვარულია, რომელსაც ელგუჯა ნოზაძე დამსახურებულად იმკის...**

**მხნედ, ძლიერო და მადლიანო კაცო!**

**სპარტაკ ქოზულია.**

## მამული ჩვენი...

# იქნება მუცო გადავარჩინოთ!..

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მუცოს 5-წლიანი სარეაბილიტაციო პროექტი წარმატებით მიმდინარეობს.**

**კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, მუცოს გადარჩენის პირველი ეტაპის გადაუდებელი სამუშაოები დასრულებულია.**

**„ხევსურეთში მოსალოდნელი მკაცრი კლიმატური პირობების წინაშე არსებულ რამდენიმე ყველაზე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ციხე-სახლს განადგურების საფრთხე აღარ ემუქრება“, — აცხადებენ უწყებაში.**

**2014 წელს გათვალისწინებული ძეგლზე განხორციელებული სამუშაოები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილმა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკა ანთიძემ მოინახულეს.**

**სამინისტროს განმარტებით, მუცოს აღდგენისა და კონსერვაციის პროექტი 2015 წლის გაზაფხულზე გაგრძელდება.**

**მუცოს გადარჩენა ძეგლის მდებარეობის, სტრუქტურისა და რეგიონის კლიმატური პირობების გათვალისწინებით, მაღალმთიანი რეგიონის ერთ-ერთი რთული, მასშტაბური და გრძელვადიანი პროცესია. შუა საუკუნეების არქიტექტურული კომპლექსის დაცვას ხევსურები და სამეცნიერო საზოგადოება წლებია ითხოვენ. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მუცოს 5-წლიანი სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყო.**

**„მუცოში ამ დროისთვის დამონტაჟებულია 70-მეტრიანი ბაგირი, რომელიც ურთულეს სარეაბილიტაციო ობიექტზე — სალ კლდეზე დაფუძნებული განაშენიანების ყველაზე მაღალ წერტილში უზრუნველყოფს სამშენებლო მასალის აზიდვას.**

**პროექტს ახორციელებს კომპანია „არქიტექსის“ არქიტექტორ-რესტავრატორი შალვა მელიქიძე და მისი სამუშაო ჯგუფი, 2008 წელს სახელმწიფო დაკვეთით მომზადებულ საპროექტო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (ავტ. არქიტექტორ-რესტავრატორი სოსო ბანძელაძე). პროექტში მონაწილე მთავარი მშენებლები ხევსურები — დაიაურების და შეთიკაურების თემის წარმომადგენლები არიან, რომლებიც საკუთარი ხელით ამაგრებენ წინაპრების მიერ აშენებულ კომპლექსს.**



**18 წელიწადი არ ვყოფილვარ ერთ დროს ჩვენი, საბჭოთა ხალხის საერთო სამშობლოს დედაქალაქში და, გამოგიტყდებით, გამგზავრების წინ ცოტა ვღელავდი – როგორ დამხვდება, ან მე რას ვეტყვი, სად დავიკარგე, ამდენ ხანს რატომ არ თუ ვერ მოვინახულე ჩემი სიჭაბუკის ტკბილი მოგონებების ქალაქი?**

თბილისიდან ვნუკოვოს აეროპორტამდე რამდენ ხანსაც მოვუნდით ფრენას, მოსკოვის ცენტრში არსებულ სასტუმრომდე თითქმის იმდენივე დრო მანქანით ვიმგზავრეთ და ერთი ცნობილი ფილმიდან ფრაზა ამეკვიატა – „მე ის თამრო აღარა ვარ“, აღარც მოსკოვი ჩანდა „იმ თამროდ“: რეკლამები, რეკლამები და კიდევ რეკლამები...

ანუ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩანდა, რომ მიუხედავად დასავლეთის „ტრუხა“ სანქციებისა, რუსეთის დედაქალაქში ეკონომიკური, ბიზნესცხოვრება დუღს და გადმოდუღს!

და უცებ ლენინის მონუმენტი – პროლეტარიატის ბელადი დიახაც რომ მიყვარდა, ოღონდ საბჭოთა ბანკნოტებზე გამოსახული, რომელთა ნაკლებობას ქართველები ნამდვილად არ ვუჩიოდით და იქნებ ამიტომაც მომეძალა ნოსტალგია – ილიჩიც იმ ტკბილ მოგონებად დამრჩა, როგორც ის 37-მანეთიანი ბილეთი, რომლითაც იმ მოსკოვში ჩავდიოდი, რომელიც ახლა ველარ ვიცანი.

სამწუხაროდ, ის დრო წავიდა, როდესაც ქართველ თუ სომეხ „ენდოკრინოლოგებს“ – „მიმინო-ფრუნზიკებს“, ერთს – „ლარისა ივანოვნუ ხოჩუო“, მეორეს „დვაცატშესტბე დალიო“, უხაროდა და ორივე ერთად შალახოს ცეკვავდა სასტუმრო „როსიას“ ნომერში.

ან კიდევ უკეთესი, 2-3 ბოთლი კონიაკის „მაგარიჩის“ სანაცვლოდ მეტროპოლიის სამინისტროების ბრძანებით „კოლონიზებული“ საქართველოსკენ დატვირთული ეშელონები მოხრიგინებდნენ – აღარც რუსები არიან „ის თამროები“, მათაც გაიგეს კარგი ცხოვრების გემო და ძალიანაც კარგი თუ გაიგეს!

საქართველოს წვლილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში ერთ პროცენტზე ოდნავ მეტი იყო, ხოლო მოხმარებით 2.5 % მოიხმარდა – ეს ისე, ამერიკის „შნირების“ საყურადღებოდ, თუ როგორ ჩაგრავდნენ საქართველოს და ვინ ვისი მონა იყო თუ ბატონი იმ „ავადსახსენებელ“ საბჭოეთში...

სასტუმროში ოდნავ სული მოვითქვით და ჩვენთვის გიდად მომაგრებულმა მოსკოველმა ქართველმა ანდრომ მცირე ექსკურსიაზე წაგვიყვანა...

რუსები, არა მხოლოდ ლენინის ძეგლების დემონტაჟზე უარის თქმით, არამედ ქუჩებისთვის ძველი, საბჭოური სახელების შენარჩუნებითაც უფრთხილდებიან საკუთარ ისტორიულ წარსულს!

ამიტომაც ლენინის პროსპექტთან ერთად, მოსკოვის ცენტრში ჯერ კიდევ არსებობენ ვახტანგ VI დროინდელი „ბოლშაია თუ მალაია გრუზინსკაიას“ ქუჩები და იქვე „გრუზინსკი პერეულოკიც“. ჰოდა, ჩვენც „ბოლშაია გრუზინსკაიაზე“ ალმოვჩნდით, სადაც, ერთ ფიორა ადგილზე, მხატვრულად თუ ვიტყვით, საქართველოს გული ფეთქავს!..

ჯერ რუსთაველის სახელობის და მისივე ძეგლით დამშვენებულ ლამაზ სკვერში ჩავიმუხლეთ ხის მერხებზე, რომლებზეც მიკრული ლითონის ფირფიტებიდან რუსულ ენაზე ილვრება დიდი შოთას აფორიზმების სიბრძნე; შემდეგ იქვე, გადაღმა, ზურაბ წერეთლის უზარმაზარი სახელოსნო-მუზეუმი მოვინახულეთ, რომლის დათვალიერების შემდეგ არ შეიძლება სიამაყის გრძნობით არ აღივსო, რომ მონუმენტური შედევრების ავტორი შენსავით ქართველია!

და ბოლოს ვახტანგ VI მიერ აშენებული წმინდა გიორგის სახელობის დიდი ტაძარი, რომელშიც ტექნიკუმი იყო გახსნილი და რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციის „ქართველთა კავშირი რუსეთში“ და მოსკოვის საპატრიარქოს (!!!) ერთობლივი ძალისხმევით ძველი ფუნქცია დაუბრუნდა – ტაძრის მცირე ფლიგელში ჯერ კიდევ ფუნქციონირებს ის ტექნიკუმი, რომელიც დღე-დღეზე დატოვებს შენობას, რომელსაც შემდგომ ზემოხსენებული ორგანიზაციის თაოსნობით და მოსკოველ ქართველთა მრევლის მონაწილეობით კაპიტალური რემონტი-რესტავრაცია ჩაუტარდება.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ტაძარი, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს კუთვნილებაა და ამიტომ მისი წინამძღვარი რუსი მამა ფიოდორია, უკვე მოქმედებს.

კომუნისტურ-ათეისტური მმართველობის დროს სადღაც გამქრალი წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატიც მოუძიებიათ და ტაძარში დაუბრძანებიათ, რამაც მრევლი (და არა მხოლოდ ქართველი) გაუმრავლა ეკლესიას, რომელშიც საქართველოს პატრიარქის, უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II მიერ მამა ფიოდორის თანამოსაყდრედ მივლინებული ქართველი მამა ვახტანგი, ღვთაებრივი ქართული გალობის ჰანგების თანხლებით, ქართულ ენაზე ასრულებს ღვთისმსახურებას!



# ვინც ჩვენ ერთმანეთს სამტროდ წაგვკიდა...

**ანუ როგორ „ჩაგრავენ“ ქართველებს რუსეთში, Тбилисоба в Москве, ანუ მოსკოვში 4 ოქტომბერს გამართული თბილისობის დღესასწაულის მაგალითზე მინდა, გიამბოთ, მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, „ვსიო პო პორიადკუ“ და მეც თავიდან დავიწყებ...**



მეორე დღეს კი, 4 ოქტომბრის დილიდანვე ე.წ. ბაღ „ერმიტაჟს“ მივაშურეთ, სადაც უკვე ტრადიციულად ქცეული დღესასწაული „თბილისობა მოსკოვში“ მეოთხედ გაიმართა. ის „რუსეთში ქართველთა კავშირისა“ და მოსკოვის მთავრობის მიერ ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული.

როგორც ცხონებული ეროსი მანჯგალაძე იტყოდა, მოსკოვის პირობებზე „ამინდიც კარგი მოგვხვდა“ და 12 საათზე დაწყებული კონცერტი 21 საათამდე გაგრძელდა, სადაც თბილისიდან ჩასულებმა თუ მოსკოველმა ქართველობამ (და არა მხოლოდ ქართველობამ) მოსკოვში არსებული ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლების ცეკვებითა თუ ასევე მოსკოველი ქართველი მომღერლების შემოქმედებით სიამოვნება მივიღეთ.

მათ ტოლი არ დაუდო თბილისურმა ანსამბლმა „მეტეხმა“, რომელმაც სხვა მრავალ ქართველთან ერთად ისეთი შემართებით შეასრულა რუსული შედევრი – „ეხ დაროგი“, რომ...

მაგრამ კონცერტმა აპოგეას მაშინ მიაღწია, როდესაც სცენაზე შეუდარებელი თამარ გვერდწითელი და სოსო პავლიაშვილი ავიდნენ და აბა, რა გითხრათ? თბილისურად თუ ვიტყვით, ერთმა დაგლიჯა და მეორემ დახურა!..

ბაღის მეორე მხარეს მოსკოვში არსებული ათამდე (ის დროც წავიდა, როცა მოსკოვში ერთი ქართული რესტორანი „არაგვი“ იყო) საუკეთესო რესტორანი საქართველოს კუთხეების სამზარეულოებს სთავაზობდნენ საზოგადოებას.

იქვე სუვენირებით ვაჭრობდნენ. მეც პატარა ზომის ქართული ხუთჯვრიანი დროშა შევიძინე, რომელიც ე.წ. გიორგის ლენტის (რომელიც პალტოზე მქონდა დაბნეული) გვერდით დავიმაგრე. უნდა გენახათ ამ ჩემი „პროვოკაციის“ შედეგი – 20 ნაბიჯი არ მქონდა გავლილი, რომ რომელიღაც ტელევიზია „დამეტაკა“ და მცირე ინტერვიუ მივეცი, რომელშიც რუსეთ-საქართველოს ხელახალი დაახლოების აუცილებლობას და უფრო მეტიც, გარდუვალობას გავუსვი ხაზი, ხოლო შემდეგ, როგორც იტყვიან, ლამის რიგი დამიდგა რუსებისა – „მოჟნო სვამი ფოტოგრაფიროვაცა“, თხოვნით...

მთხოვნელებს შორის ბევრი, ჩემი ჯეელობის დროს რომ ვიცოდით თქმა, მაგარი რუსის ნაშებიც იყვნენ, რომელთაც, „იუბკასავით“ ჰქონდათ საქართველოს დიდი დროშები შემოხვეული და აბა, უარს როგორ ვეტყოდი?..

ერთი სიტყვით, „თბილისობა მოსკოვში“ მსგავსი „თბილისობის“ ჩატარებაზე, არც „თბილისობა თბილისში“ იტყოდა უარს, თუმცა...

ერთი რუსული ანდაზისა არ იყოს – ერთმა წვეთმა კუპრმა შეიძლება, მთელი კასრი თაფლი გააფუჭოსო, ასეთი ფიქრიც ამეკვიატა მოსკოვში. თუმცა, ეს უჟმური თბილისში, თვითმფრინავში ასვლისთანავე ამყვა, როცა შევიტყვე, რომ ჩვენთან ერთად მოსკოვს ლელა წურწუმია, ნინო ჩხეიძე და ნინი ბადურაშვილიც მოემგზავრებოდნენ, ანუ იმ „ხელოვანთა“ ნაწილი, რომლებიც საქართველოში, კრეტინი პრეზიდენტყოფილი მიშას მომღერლებად, მიშას მსახიობებად, ჟურნალისტებად და ა.შ. არიან ცნობილები. თუმცა, „ჩვენთან ერთად“, მთლად ზუსტი ნათქვამი არ არის, რადგან ისინი, როგორც ელიტა, ბიზნესკლასში, ხოლო ჩვენ – „მეტეხი“, „ფრანი“ და თქვენი მონამორჩილი, როგორც „ყარტაყურტა“ ხალხი, ეკონომკლასში გახლდით.

სასტუმროც, ალბათ, სხვა შეურჩიეს ქართული შოუბიზნესის „ვარსკვლავებს“, რადგან თბილისობის ზეიმის დაწყებამდე ვერსად დავლანდე...

იმთავითვე რომ მცოდნოდა რა „სასტავშიც“ მოვხვდებოდი, დავფიქრდებოდი, ღირდა თუ არა მოსკოვს წასვლა? მაგრამ რა უნდა მექნა უკვე ჩაკეტილ ბოინგში?

არა, ზოგადად არც ეკონომკლასს ვწუნობ და არც რიგიან სასტუმრო „ვოლგას“, მაგრამ, როდესაც გახსენდება, რომ ისინი 9 წელიწადი უმღეროდნენ სააკაშვილის ფაშისტურ-სადისტურ რეჟიმს, ანუ, „ვინც ჩვენ ერთმანეთს სამტროდ წაგვკიდა“, რომელსაც შენ ამდენივე ხანი ებრძოდი, მაშინ გეუფლება „ამპარტავნება“...

ათასჯერ მითქვამს და ათასმეერთედაც გავიმეორებ – პოლიტიკა ყველგან და ყველაფერში სუფევს: ზემოხსენებული ტაძარი, რუსთაველის სკვერი, ზურაბ წერეთლის მუზეუმი და ერმიტაჟის ბაღში ჩატარებული თბილისობაც, საბოლოო ჯამში დიდი პოლიტიკის ერთი მცირედი შემადგენელია, რომელსაც სახალხო დიპლომატია ჰქვია!

ჰოდა, ასეთ კონცერტზე მაინცდამაინც ვანო მერაბიშვილის, როგორც ამბობენ „„პრიამოი“ ძმაკაცის და აქედან „წარმატებული ბიზნესმენის“ ცოლს, „იარი“ ნაციონალ ნინო ჩხეიძეს აგზავნი? ან იგივე მამულიჩას კნეინა ლელას, რომელსაც, როცა ნახევარი საქართველო ციხეში იჯდა და ცოცხებს უყრიდნენ უკანალში, ხოლო მეორე ნახევარი მაჯის სიმსხო კურცხალით ტიროდა, პროტესტი არ გასჩენია და რეჟიმის პროპაგანდისტულ კონცერტებზე პრიმადონობდა...

ან იმას აპატიებენ ნინი ბადურაშვილს, როდესაც რუსთაველზე „კვლავ გადარეცხეს სისხლი ქვაფენილს“ ისე დასჭექა იმბეცილი პრეზიდენტის საამებლად ჯერ კიდევ სისხლისლაქებიან პროსპექტზე, რომ წარბიც არ შეუხრია...

ჩემმა შინაგანმა პროტესტმა ზენიტს მაშინ მიაღწია, როდესაც ერმიტაჟის ბაღში ქართული შოუ-ბიზნესის ტრიო დავლანდე და ცოტა დამაკლდა სცენაზე არ ავვარდი, რათა დათა თუთაშხიასავით პუბლიკისთვის შემეძახა – რას შვრებით, ვინა ხართ, რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა სეთურმა და მოსასპობმა თაბაგარმა, ამათ ტაშს როგორ უკრავთ-მეთქი, მაგრამ დიდი ვაჟასი არ იყოს – „კარგი სტუმარი სხვის სახლში ვერ გაშლის ხათაბალასო“ და მეც სტუმარ-მასპინძლობის ამ კანონს დავემორჩილე...

ქართველი ხალხი დიდსულოვანია და იქნებ მიშას მომღერლებისთვის ეპატიებინა კიდეც, რადგან გმირობას ყველას ვერ მოსთხოვ. მაგრამ, რომ გაპატიონ, ჯერ უნდა მოინანიო. ამათ მონანიება კი არა, ბოდიშის მოხდაც არ უნდათ და აქეთ გიტევენ ისეთი „რკინისებური“ არგუმენტებით: „მე პოლიტიკა არ მესმის“, ან „მე პოლიტიკაში არ ვერევი“, ან მთლად უდრეკი ფოლადით – „რა მექნა, ჭამა ხომ მინდოდა?“..

არ ვიცი, ვისი რჩევით თუ მეცადინეობით მიიწვიეს ეს ტრიო თბილისობის ორგანიზატორებმა მოსკოვში, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამის მქმნელი, უკაცრავი პასუხია და ან პიტალო მოყვარე, ან რუსეთ-საქართველოს ხელახალი დაახლოების ჭკვიანი მტერია!

თქვე კაი ხალხო, საქართველოში მოცეკვავ-მომღერლები დაილია, რომ მაინცდამაინც „ვინც ჩვენ ერთმანეთს, სამტროდ წაგვკიდა“ სააკაშვილის რეჟიმთან ასოცირებული „ხელოვანები“ არ მიიწვიო?

დიახ, ზემოთ ხსენებული მომღერლებიც ისეთივე სიმბოლოები არიან სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისა, როგორებიც ვანო მერაბიშვილი, ძმები ახალაიები თუ მიშას „ჟურნალისტ-ექსპერტები“ და ა.შ. მათი სახელი ლეგიონია!

ისევე, როგორც ჰიტლერის ფაშისტური რეჟიმის სიმბოლოდ, მარლენ დიტრიხისგან განსხვავებით, დღემდე ითვლება მარიკა როკი.

ჰოდა, ვისაც ეს ეხება, მომავლისთვის მაინც გაითვალისწინოს, რომ მსგავსი „იალლიშები“ ტექნიკურ-ფინანსურ ორგანიზატორებს კი არა, პირველ რიგში, რუსეთის ხელისუფლებას მიეწერება, რადგანაც, რაც არ უნდა საპირისპირო გვიმტკიცონ მავანთა, „აპოლიტიკური თბილისობა“ მოსკოვის ცენტრში, რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების პოლიტიკური (!) ნების გარეშე ვერ გაიმართება.

თბილისში დაბრუნებულს საზოგადოების უმრავლესობაშიც მსგავსი უკმაყოფილო განწყობა დამხვდა, კოჰაბიტაცია-2 ხომ არ არისო ეს ყველაფერი, ოღონდ ამჯერად მოსკოვისგან თავსმოხვეულიო, ხუმრობაგაშვებით ანგლობენ იუმორის გრძნობით მდიდარი ქართველები...

**დავით მხეიძე**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი № 1**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისაკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 03 ოქტომბრის N5/36940 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში სხვა ფაკულტეტებთან ერთად ფუნქციონირებს ტურიზმის ფაკულტეტი, სადაც 150-მდე სტუდენტი სწავლობს. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ დროთა განმავლობაში ეს დარგი ახალი თაობისთვის უფრო მიმზიდველი ხდება. უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი მათიაშვილი** საკმაოდ ოპტიმისტურად უდგება ისეთ მნიშვნელოვნ ღონისძიებებს, რომელიც საქართველოს ევროკავშირთან აახლოებს **„საქართველოს მისწრაფება ევროკავშირისკენ საყოველთაოდ არის ცნობილი,** — აღნიშნა მან, **— ჩვენი უნივერსიტეტი კი ცდილობს, თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ პროცესში. სამწუხაროდ, შავი ზღვის არეალი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ესაზღვრება, ვიწროა, ამდენად, სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა და ერთობლივი მოქმედებები აუცილებელია. კონფერენციაში შავი ზღვის რეგიონის თითქმის ყველა სახელმწიფო მონაწილეობს. ჩვენი უნივერსიტეტი მოამზადებს ბაკალავრებს, მაგისტრებს, აქ განთავსდება საკოორდინაციო, საკონსულტაციო, საგანმანათლებლო ცენტრები, შეიქმნება მოკლევადიანი ტრენინგ-კურსები, რაც ხელს შეუწყობს საკრუიზო სფეროს დახვეწასა და განვითარებას“.**

მიმდინარე კონფერენციის ფარგლებში მოხდა შავი ზღვის რეგიონის საკრუიზო ტურიზმის კომპეტენციის ცენტრის საბოლოო ვერსიის პრეზენტაცია. ასევე გაიმართა დისკუსია-მიმოხილვები საკრუიზო ტურიზმის რეგიონული კვლევების შესახებ. დაიგეგმა პროექტში მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების ფორმები, ვადები. შეფასდა პროგრამის მთელი ცხრა თვის შედეგები. ცნობისთვის, „TEMPUS“-ის პროექტი ორ წელიწადში დასრულდება.

ალსანიშნავია, რომ კონფერენციას საგარეო საქმეთა მინისტრი **მაია ფანჯიკიძე** ესტუმრა; იგი ამ უნივერსიტეტის ყოფილი ლექტორია, ამდენად, ორმაგად სასიხარულოა მისთვის, როცა სწორედ ეს სასწავლებელი მასპინძლობს ასეთი მაღალი დონის ღონისძიებას.

**„ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის, ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე, ყოველი ასეთი პროექტის წარმატება უაღრესად მნიშვნელოვანია. ტურიზმი, საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს და სტიმული მისცეს მის განვითარებას. ჩვენი ისტორია, კულტურა, ზღვა, დაცული ტერიტორიები, მდიდარი ბუნება გვაძლევს სიამაყის საფუძველს და დროა, იგი კიდევ ერთხელ კარგად გავაცნოთ მსოფლიოს. ამას სჭირდება ტურიზმის სფეროში ცოდნის გაღრმავება, კარგი დაგეგმვა და მენეჯმენტი“,** — აღნიშნა მინისტრმა.

პროგრამის ორგანიზატორების აზრით, საქართველოს ინტეგრაცია საკრუიზო ტურიზმის ბაზარზე დამოკიდებულია კერძო სექტორის სტრატეგიაზე, რეგიონალური თუ ლოკალური დონის ავტორიტეტების მოქნილობაზე და, რაც მთავარია, აკადემიური წრეების აქტიურობაზე.

**„TEMPUS“-ის იდეა ასეთია ე. წ. „ცოდნის სამკუთხედის“ — განათლების, კვლევისა და ინოვაციების გზით ხელი შეუწყოს საკრუიზო ტურიზმის განვითარების პროცესს.**

**თეა მოსია**



## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სს „ელმავალმშენებლის“ აქციონერებს გაცნობებთ, რომ სს „ელმავალმშენებლის“ წესდების 19.5 პუნქტის და საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 54.1[1] პუნქტის შესაბამისად, რამონ ჰენრი მარტინ ზუკეტომ, სს „ელმავალმშენებლის“ აქციების 87%-ის მფლობელი აქციონერის შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანიის LOKO TRANS HOLDINGS B.V.-ის დირექტორი Alliedcorporate Management B.V.-ის დირექტორმა განვიხილე შემდეგი საკითხები:

1. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობის რაოდენობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ;

2. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

3. სს „საქართველოს ბანკსა“ და სს „ელმავალმშენებელს“ შორის 28.06.2007წ. გაფორმებული №001033 გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად სს „ელმავალმშენებლის“ საკუთრებაში არსებული მატერიალური ქონების (4 ერთეული მაგისტრალური ელმავალი ВЛ 11 М6 №507, 508, 509, 510; პლაზმური ჭრის დანადგარი „კომეტა“) სს „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთვის შესახებ.

**და მივიღე შემდეგი გადაწყვეტილებები:**

1. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობრივი შემადგენლობა არსებული 11 კაცის ნაცვლად განისაზღვროს 7 კაცით.

2.1. 2014 წლის 1 ოქტომბრიდან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან გამოწვეულ იქნან ნეკლუდოვა ტატიანა ვლადიმირის ასული, ტეპიშევი ალფეი კონსტანტინეს ძე, ჩუიკო ტატიანა ვალენტინის ასული, ხეილო სერგეი ბორისის ძე, ეპიფანოვი ვლადიმირი მიხეილის ძე.

2.2. 2014 წლის 1 ოქტომბრიდან სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნას იური ჭავჭანიძე 4 (ოთხი) წლის ვადით.

2.3. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს იური ჭავჭანიძეს შრომის ანაზღაურება განესაზღვროს შემდეგნაირად — თანამდებობრივი სარგო 1400 (ათას ოთხასი) ლარი და მოტივაციის სახით დანამატი — 2100 (ორიათას ასი) ლარი.

3.1. სს „საქართველოს ბანკსა“ და სს „ელმავალმშენებელს“ შორის 28.06.2007წ. გაფორმებული №001033 გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად მიეცეს თანხმობა სს „ელმავალმშენებლის“ გენერალურ დირექტორს ბ-ნ ზ. ცინცაძეს სს „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთოს საზოგადოების ბალანსზე რიცხული, მატერიალური ქონება (4 ერთეული მაგისტრალური ელმავალი ВЛ11М6 №507, 508, 509, 510; პლაზმური ჭრის დანადგარი „კომეტა“).

3.2. სს „ელმავალმშენებლის“ გენერალურ დირექტორს ბ-ნ ზ. ცინცაძეს ნება მიეცეს სს „საქართველოს ბანკთან“ გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება და განსაზღვროს მისი შინაარსი და პირობები საკუთარი შეხედულებისამებრ სს „ელმავალმშენებლის“ ინტერესების სრული დაცვით.

**სს „ელმავალმშენებლის“
სამეთვალყურეო საბჭო**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შვეიცარიის წყალობით ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის უკეთესი გახდა

**საქართველოს პარლამენტის სპიკერი ოფიციალური ვიზიტით პირველად ჩავიდა შვეიცარიაში უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობანი ორ სახელმწიფოს შორის. 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი აირჩიეს ქვეყნის საკანონმდებლო კრების სპიკერად. ვარდების რევოლუციის დროს მან მხარი დაუჭირა მისწრაფებას თავისუფლებისაკენ, რომელსაც სათავეში ედგა მიხეილ სააკაშვილი. მიუხედავად ამისა, ნახევარი წლის შემდეგ მან ზურგი აქცია ახალ პრეზიდენტს, ვინაიდან გაიგო, რომ მისი რეფორმები განხორციელდება დემოკრატიული ღირებულებების საზიანოდ. კვირასა და ორშაბათს დავით უსუფაშვილი ჟენევაში იმყოფებოდა.**



**Le Temps: პარასკევს სომხეთი შევიდა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ შექმნილ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში. თუ აღმოჩნდა საქართველო იზოლაციაში რუსეთსა და სომხეთს შორის?**

**დავით უსუფაშვილი:** საქართველომ და სომხეთმა ორი სხვადასხვა გზა აირჩიეს. ერთ მათგანს მივყავართ რუსეთში, მეორეს — ევროპაში. მაგრამ ჩვენ მაინც ვრჩებით მეგობრებად. ჩვენ გულდასმით ვმუშაობთ სომხეთის პარლამენტის დეპუტატებთან, რათა შევზღუდოთ ჩვენს სხვადასხვა გადაწყვეტილებათა უარყოფითი შედეგები, ვაპირებთ, კვლავაც დავიჭიროთ კეთილმეზობლური ურთიერთობანი. ერევანი და თბილისი ერთ ტალღაზეა. სირთულეები შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ საგარეო ზემოქმედების შედეგად, რომლის წყალობითაც შეიძლება შეეცადონ, ჩააგდონ შუღლი ჩვენს შორის. ჩვენ კი, ჩვენი მხრიდან, არაფერს ვაკეთებთ, რაც ზიანს მიაყენებს და სომხეთის ინტერესებს.

**— როგორ შეეძლო რუსეთს, მოეხდინა ზემოქმედება საქართველოზე?**

— ევრაზიის ეკონომიკური კავშირი — ეს უბრალოდ სავაჭრო გაერთიანება როდია. ესაა ფარული პოლიტიკური და სამხედრო ალიანსი. რუსეთი არაა მზად, შეურიგდეს ჩვენს გადაწყვეტილებას ევროკავშირთან დაახლოების შესახებ და ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით. მან მის მიერ ოკუპირებული სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი უკვე გადააქცია გიგანტურ სამხედრო ბაზებად. ჯარებისა და იარაღის დიდი ნაწილის ასეთი განთავსება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საქართველოსთვის.

**— გაქვთ იმედი, რომ დაიბრუნებთ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს?**

— ერთ პერიოდში არავის არ მოუვიდოდა აზრად, რომ საქართველო გახდებოდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ ამჟამად ყველაფერი სწორედ ასეა. ერთხელაც იქნება რუსეთი გახდება დემოკრატიული, და მაშინ ყირიმი დაუბრუნდება უკრაინას, ჩვენ კი კვლავ გავუწევთ კონტროლს საქართველოს მთელ ტერიტორიას.

**— რა გაკვეთილები შეიძლება გამოვიტანოთ ამასწინანდელი მოვლენებიდან უკრაინაში?**

— ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გზა დემოკრატიისაკენ არც ისე მარტივია, როგორც ევროპაში ფიქრობდნენ. რუსეთი არაა მზად, იოლად შეურიგდეს გავლენის დაკარგვას.

**— ნატოს უკანასკნელი სამიტი დამთავრდა რაიმე წინადადებების გარეშე საქართველოსთან დაახლოების შესახებ. ალიანსის კარი საბოლოოდ დაიხურა?**

— ჩვენ ნატოსგან მეტს ველოდებოდით, მაგრამ ჩვენი გაწბილება დიდხანს არ გაგრძელებულა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება, ავიღოთ კურსი ევროკავშირსა და ნატოზე, სწორი იყო. თუმცა, ამ დაახლოების ტემპი არ შეესაბამება შექმნილ სიტუაციას იმის გათვალისწინებით, თუ რა ხდება ამჟამად უკრაინაში.

**— რა შეუძლია მისცეს საქართველომ ევროპას?**

— საქართველო ევროპისა და აზიის გზაგასაყარზეა, იგი ერთგვარი შესასვლელი კარია ირანის, შუა აზიისა და ჩინეთის შორეული ბაზრებისათვის. პეკინში ყველაფერს შესანიშნავად ხედავენ: ამჟამად იქ განიხილავენ მასშტაბურ სარკინიგზო პროექტს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ეტაპი გახდება საქართველო.

**— რა გინდოდათ, გეთქვათ შვეიცარიის ხელისუფლებისათვის?**

— მე მინდოდა, მისთვის მადლობა გადამეხადა. შვეიცარიის წყალობით ჩვენი ურთიერთობანი მოსკოვთან უკეთესი გახდა.

LE TEMPS

# სააკაშვილი: გულისტკივილით ვადევნებ თვალყურს იმას, თუ რა ხდება საქართველოში

**ოთხშაბათს ვაშინგტონში კატონის ინსტიტუტის ფორუმზე საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ განიცდის ოპტიმიზმს საქართველოს ხანგრძლივ პერსპექტივებთან დაკავშირებით, მაგრამ გულისტკივლით ადევნებს თვალყურს იმას, თუ რა ხდება ამჟამად ქვეყანაში.**

## საქართველოს ექს-პრეზიდენტი „უკან დახევის შესახებ" ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში




დისკუსიის დროს, როდესაც თავისი მართვის პერიოდზე საუბრობდა, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკურ ტრანსფორმაციებს ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მისმა მთავრობამ შეძლო, გაეთავისუფლებინა ქვეყანა „შუასაუკუნეობრივი ინსტიქტების ბატონობისაგან".

**„ჩვენ დავიწყეთ ჩვენი რეფორმები, უგულებელვყავით პრაქტიკულად ყველა რჩევა, რასაც გვაძლევდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი,** — აღნიშნა სააკაშვილმა. **— ჩვენ ამის საპასუხოდ გვეუბნებოდნენ, რომ გიჟები ვართ. ჩვენ კი უბრალოდ ვთხოვეთ მათ, მოეცათ ჩვენთვის ექვსი თვე შედეგების მიღწევისათვის. ნახევარი წლის გასვლის შემდეგ ყველა გვილოცავდა მიღწეულ წარმატებებს, რასაც ჩვენგან არავინ ელოდა".**

კატონის ინსტიტუტის მკვლევრებმა თავის მხრივ მოიყვანეს მონაცემები, რომელთა თანახმადაც საქართველომ მსოფლიოს თავისუფალი ეკონომიკის რეიტინგში მეთექვსმეტე ადგილი დაიკავა.

წარმატებული პროექტების მაგალითებად სააკაშვილმა მოიყვანა პოლიციის რეფორმა და სამმართველო სტრუქტურებში ქართველი ახალგაზრდების შეყვანა.

**„ერთ-ერთი რჩევა, რომელიც შემიძლია მივცე ჩემ თანაკურსელ პრეზიდენტ პოროშენკოს — ესაა მოიყვანოს ხელისუფლებაში ბევრი 25-წლიანი ახალგაზრდა,** — განაცხადა საქართველოს ექს-პრეზიდენტმა. **— ჩემთვის საერთოდ წარმატების მთავარი კრიტერიუმი — ესაა ჰორიზონტალური სოციალური მობილურობა".**

ამავე დროს სააკაშვილმა ყურადღება მიაქცია იმას, თუ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ როგორ დაიწყო ქვეყანამ „უკან დახევა" მთელ რიგ სფეროებში, სადაც ადრე წარმატებით განხორციელდა რეფორმები.

**„სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა გახდა საერთოდ უკანასკნელი დიდი პროექტი, რომელიც აიგო და გაიხსნა უკანასკნელი წლების განმავლობაში",** — განაცხადა საქართველოს ექს-პრეზიდენტმა.

მან აგრეთვე ისაუბრა მისი მთავრობის წევრების დევნის შესახებ, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ პრეზიდენტის რეფორმების განხორციელებაში.

**„ხალხს შეუქმნეს აუტანელი პირობები, ისინი იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ ქვეყანა, რომელშიც ყოველივე სხვათა გარდა, მათ ჰქონდათ მრავალრიცხოვანი საფინანსო ვალდებულებანი — ვიღაც კრედიტს ღებულობდა მანქანის შესასყიდლად, ვიღაცას უძრავი ქონება, მაგრამ არაფერ ამას ანგარიში არ გაუწიეს",** — თქვა სააკაშვილმა.

ამავე დროს დისკუსიაში მონაწილე ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩმა არჩილ გეგეშიძემ საქართველოს ექს-პრეზიდენტის ყურადღება მიაქცია იმას, რასაც, საკუთარი აღიარებით, იცნობდა და რასთანაც თანამშრომლობდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იმას, რომ იგი დუმს მთელ რიგ მეტად წარუმატებელ ფაქტებზე მისი მართვის პერიოდში და განზრახ მუქ ფერებში წარმოადგენს ამჟამინდელი მთავრობის საქმიანობას.

**ბატონ არჩილ გეგეშიძისა და ექს-პრეზიდენტის პოლემიკას გთავაზობთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე.**

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ურჩია პუტინს, რომელიც წუხს ბალტიისპირეთში ნეონაციზმის ზრდის გამო, „ჩაიხედოს სარკეში"**

**ლატვიელმა დიპლომატებმა ყურადღება მიაქციეს რუსეთის ფედერაციაში აუტანლობისა და ექსტრემიზმის დონის ზრდას, აგრეთვე განაცხადეს „ინფორმაციული ომისა" და პოლიტიკური დევნის შესახებ დისიდენტების მიმართ. თემა აიტაცეს ბალტიისპირელებმა, განაცხადეს „რაშიზმისა" და „რუსული სამყაროს" საფრთხის შესახებ. მოსკოვში კვლავ აღშფოთებული არიან ლატვიაში მიუზიკლის დადგმის გამო ნაცისტი დამსჯელის შესახებ.**

* * *

**ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები შეუერთდნენ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ**




**ჩერნოგორია, ისლანდია, ალბანეთი, აგრეთვე ლიხტენშტეინი, ნორვეგია, ევროპის ეკონომიკური ზონის წევრები და უკრაინა შეუერთდნენ ევროკავშირის სანქციების უკანასკნელ პაკეტს რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით, ნათქვამია ევროსაბჭოს საბჭოს ცნობაში. ევროკავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ და ავსტრალიამ რუსეთის პოზიციასთან დაკავშირებით უკრაინის კრიზისის გამო უკვე შემოიღეს სანქციების რამდენიმე პაკეტი.**

* * *

**კანადა ციებ-ცხელება ებოლის ეპიდემიასთან ბრძოლისათვის დამატებით 30 მილიონ დოლარს გამოყოფს**

**ადრე კანადის მთავრობამ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, გაეროსა და ჰუმანიტარული დახმარების გაწევის ჯგუფებს გადაურიცხა 35 მილიონი დოლარი. ამას გარდა, კიდევ დაახლოებით 2,5 მილიონი დოლარი გამოჰყო მედიკოსების ინდივიდუალური დაცვის სახსრების შესაძენად. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ასევე გააგზავნა სიერა-ლეონეში ორი მობილური ლაბორატორია.**



* * *

**ირანისა და ერაყის საზღვარზე მოხდა მიწისძვრების სერია, დაზარალდა რამდენიმე ათეული ადამიანი**

**მიწისქვეშა ბიძგების მაგნიტუდამ 4-დან ექვსამდე მიაღწია. კერა 10 კილომეტრის სიღრმეზე იყო, ეპიცენტრი კი ქალაქ შუშიდან 56 კილომეტრის დაშორებით ჩრდილო — აღმოსავლეთში. ირანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, დაახლოებით 20 კაცმა მიიღო სხვადასხვა ხარისხის დაზიანება.**

## „ჩემს მოვალეობად მიმაჩნია...“

### დავით უსუფაშვილი:

# სააკაშვილს საკუთარი წარსული დევნის და არა – პუტინთან „შეკრული“ ივანიშვილი

**ჩემთვის, როგორც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური პარტნიორისთვის, პარლამენტის თავმჯდომარისა და „ქართული ოცნების“ თანადამფუძნებლისთვის, შეურაცხმყოფელია იმის მოსმენა , რომ ჩემი ყოფილი პოლიტიკური ლიდერი და ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი თურმე „სხვა ქვეყანას ემსახურება“ და ღალატობს სამშობლოს“,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის წერილშია ნათქვამი, რომელიც ამერიკულ გამოცემა **„ნიუ-იორკ თაიმსში“** სათაურით, **„სააკაშვილს საკუთარი წარსული დევნის და არა — პუტინთან „შეკრული“ ივანიშვილი“** გამოქვეყნდა.

მისივე თქმით, არასერიოზული და სამარცხვინოა იმაზე მსჯელობა, რომ ივანიშვილი შეგნებულად, გააზრებულად და თანამიმდევრულად წლების განმავლობაში ხომ არ ატარებს რუსეთის ინტერესებს („რუსეთის პატრიოტია“), ან ცდილობს საქართველოს რუსეთის ორბიტაზე დაბრუნებას („საქართველოს მცდარი პატრიოტი“).

**„ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, გამოვეხმაურო ამ თემას და ზოგიერთი ფაქტი შევახსენო მათ, ვინც შეცდომაშია შეყვანილი. ივანიშვილის უპრეცედენტო მასშტაბის საქველმოქმედო საქმიანობის გარდა, 2011 წლის შემოდგომამდე ცოტა რამ იყო ცნობილი მის ხედვებზე, ღირებულებებსა და გეგმებზე. მაგრამ ბოლო სამი წლის განმავლობაში, ივანიშვილის წარსულისა და დღევანდელობის ყველა დეტალი საჯარო გახდა, ამიტომ აღარ უნდა დარჩეს კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოტივები ამოძრავებდა და ამოძრავებს ივანიშვილს თავის სამშობლოსთან და ხალხთან. რა არის საქართველო ბიძინა ივანიშვილისთვის? — საქართველო ბიძინა ივანიშვილის სამშობლოა, სადაც დაიბადა და მშრომელი ადამიანების, ჩვეულებრივ ოჯახში გაიზარდა. ივანიშვილმა საქართველო 29 წლის ასაკში დატოვა, მაგრამ როგორც კი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის გაკეთება შეძლო, ჯერ კიდევ დამწყებმა ბიზნესმენმა, 22 წლის წინათ, სამოქალაქო ომისგან გაპარტახებული საქართველოს დასახმარებლად საქართველოში 400 ტრაქტორი გამოაგზავნა. საქართველოსთვის უმძიმეს, 90-იან წლებში ივანიშვილმა ქართული ინტელიგენცია იხსნა უკიდურესი გაჭირვებისა და შიმშილისგან და ასობით ადამიანს ყოველთვიური დახმარება დაუნიშნა. ორი ათეული წლის განმავლობაში მისი საქველმოქმედო ფონდის დაფინანსებით აღდგენილი და რესტავრირებულია რამდენიმე ასეული ეკლესია-მონასტერი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, აშენებული და აღდგენილია სკოლები, უნივერსიტეტები, სამედიცინო დაწესებულებები, თეატრები, ბიბლიოთეკები, გზები, ხიდები და მრავალი სხვა. წლების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა სოციალურ პროექტებს, ეხმარებოდა მოხუცებულთა და ბავშვთა სახლებს, მიწისძვრით დაზარალებულებს. ყველაფერი ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც საქართველო ცდილობდა რუსეთის ორბიტისგან თავის დაღწევას. მაშინ საქართველოში ამ კაცის სახელი ცოტა ვინმემ თუ იცოდა, ხოლო სახეზე ოჯახის წევრებისა და მეგობრების ვიწრო წრის გარდა, არავის ენახა“, -— წერს დავით უსუფაშვილი.**



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ასევე აღნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილმა სამ მილიარდ დოლარზე მეტი უკვე დახარჯა ქველმოქმედებაში და როგორც არაერთხელ განაცხადა, გადაწყვეტილი აქვს თავისი ქონების მინიმუმ 90 პროცენტი ქართული სახელმწიფოს შენებას მოახმაროს. მისივე თქმით, ივანიშვილის თავდადება საქართველოსა და მისი მომავლისადმი ეჭქვეშ ვერ დადგება.**

**დავით უსუფაშვილის განცხადებით, რუსეთი ბიძინა ივანიშვილისთვის ის ქვეყანაა, სადაც მუშაობდა სამეცნიერო დისერტაციაზე, გახდა ბიზნესმენი და დააგროვა თავისი კაპიტალის დიდი ნაწილი. მისივე თქმით, საქართველოს ყოფილმა პრემიერმა რუსეთი პრეზიდენტ ელცინის მმართველობის დასრულებისთანავე დატოვა და 12 წელია, იქ აღარ ჩასულა.**

**„ივანიშვილმა მაშინდელი რუსეთის ბიზნესწრეებს თავი დაამახსოვრა სრულიად გამორჩეული და თითქმის დაუჯერებელი ხელწერით. იგი ვერ ეგუებოდა ვერანაირ უწესრიგობას და უკანონობას. რაც შეეხება „გაზპრომის მთავარ აქციონერობას“, ივანიშვილი „გაზპრომის ბოლო აქციას და პრეზიდენტ სააკაშვილთან საქმიან ურთიერთობებს, ერთდროულად — შვიდი წლის წინ გამოემშვიდობა, ხოლო რუსეთში დარჩენილი ყველა სხვა ქონება გაასხვისა პოლიტიკური აქტიურობის დაწყებისთანავე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე. რუსეთი ივანიშვილის წარსულს განეკუთვნება“, — წერს დავით უსუფაშვილი.**

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი მხარში ამოუდგა სააკაშვილსა და მის გუნდს, რომლებიც ხელისუფლებაში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოვიდნენ და პოლიტიკურ პრიორიტეტად კორუფციასთან ბრძოლა და ქვეყნის დემოკრატიული მოდერნიზაცია და ევროატლანტიკური ინტეგრაცია გამოაცხადეს.**

**დავით უსუფაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი უპრეცედენტო ფინანსურ დახმარებას უწევდა სახელმწიფო სტრუქტურებს, ასევე ორი წლის განმავლობაში აფინანსებდა მინისტრების, მთავრობის წევრების, მოსამართლეების და სხვა საჯარო მოხელეების სახელფასო ფონდებს.**

**„მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ იგი ერეოდა პოლიტიკურ პროცესებში ან მთავრობის გადაწყვეტილებებში. მეტიც, არასასურველი მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად, მისი სახელი არსად ფიგურირებდა და ყველას სჯეროდა, რომ ეს სახელფასო ფონდები ჯორჯ სოროსის ფონდის მიერ ფინანსდებოდა“, — წერს დავით უსუფაშვილი.**

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ასევე წერს, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ივანიშვილმა უზარმაზარი ფინანსური დახმარება გაუწია ქართულ ჯარს, რათა იგი სტანდარტებს მიახლოებოდა. მისივე თქმით, ვიდრე ბიძინა ივანიშვილს სჯეროდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს და მის გუნდს ქვეყანა დემოკრატიული დასავლეთისკენ მიჰყავდათ და მართლაც ებრძოდნენ კომუნისტური და კოლონიური წარსულის ნაშთებს, პირადად სააკაშვილის ხელისუფლების დასახმარებლად ივანიშვილმა იმ ხერხსაც კი მიმართა, რომ პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხა 90 მილიონი დოლარი, რათა ამ ფულით აშენებული, გარემონტებული და აღჭურვილი სკოლა სააკაშვილსა და მის გუნდს მისწეროდა.**

**„ასეც მოხდა, სააკაშვილი დიდხანს ტრაბახობდა ამ პროექტით. ჯამში, ივანიშვილმა ასეულობით მილიონი დოლარი მოახმარა სააკაშვილისა და მისი გუნდის საქმიანობას (მაინტერესებს, მისი ამჟამინდელი პრეტენზიების ფონზე, როგორ განმარტავს სააკაშვილი ამ მხარდაჭერას). მაგრამ როდესაც ივანიშვილისვე დახმარებით რეფორმირებული პოლიცია 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილის ხელში საკუთარი ხალხის სადამსჯელო იარაღად იქცა და ხალხს დაუპირისპირდა, როდესაც 2008 წლის იანვარში სააკაშვილი არჩევნების გაყალბების გზით დარჩა ხელისუფლებაში, ივანიშვილმა უარი თქვა მასთან ურთიერთობაზე და გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი. შედეგი იყო 2008 წლის აგვისტოს ომი, რუსეთის კარგად დაგეგმილი აგრესია და საქართველოს პრეზიდენტის მორიგი გაუაზრებელი ავანტიურა“,** — წერს დავით უსუფაშვილი.

## მოვლენის წინ

# ბათუმური „კარმენი“ და იუბილარი რეჟისორი...



**1, 2 ნოემბერს, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში „კარმენის“ პრემიერა გაიმართება. საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი მარინა ჯახუტაშვილი ჟ. ბიზეს ამ გენიალური ოპერით ერთი წლის წინათ დაინტერესდა და სპექტაკლის დადგმაზე ფიქრი დაიწყო. ბათუმში ცნობილი რეჟისორი ბატონი გიზო ჟორდანია, თბილისის საოპერო თეატრის საპატიო დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, კოსტიუმების მხატვარი ანკა კალატოზიშვილი, ქორეოგრაფი გია მარღანია მიიწვია, საზღვარგარეთ გაფანტული თეატრის სოლისტი-მომღერლები სამშობლოში დააბრუნა და ერთობლივი ძალებით შეუდგნენ პრემიერისთვის მზადებას. მაესტრო ჟორდანიასა და დასის ნიჭიერი წევრების სცენიური რეპეტიციები მხოლოდ 3 თვე გაგრძელდა და პრემიერაც დაიგეგმა.**

„კარმენის“ განსხვავებული ვერსიები გვახსოვს თბილისის ოპერის თეატრში, სადაც თავის დროზე წამყვან პარტიებს მღეროდნენ გამოჩენილი ქართველი საოპერო ვარსკვლავები — ზურაბ ანჯაფარიძე, პეტრე და მედეა ამირანაშვილები, ზურაბ სოტკილავა, ნოდარ ანდღულაძე, ალექსანდრე ხომერიკი, თამარ გურგენიძე, ნადეჟდა ცომაია, ლეილა გოცირიძე, მანანა ეგაძე... ბათუმში კი, რაც საოპერო დასი არსებობს ჟ. ბიზეს ეს უნიკალური ოპერა პირველად იდგმება და მასში მონაწილეობენ ახალგაზრდა და ნიჭიერი სოლისტები — ირაკლი კახიძე, ინგა ჯახუტაშვილი, ბაჩო ნაკაშიძე, ზაზა ხამათაშვილი, არმაზ დარაშვილი, ნანა ძიძიგური, მამუკა ლომიძე, სულხან ჯაიანი, ლევან მაკარიძე, ნონა კორიფაძე, ირმა ჟღენტი...

ბათუმის საოპერო დასი „კარმენის“ პრემიერებს სწორედ გამოჩენილი რეჟისორისა და პედაგოგის გიზო ჟორდანიას 80 წლის იუბილეს უძღვნის...

სამხატვრო ხელმძღვანელის მარინა ჯახუტაშვილის თქმით, ბათუმური პრემიერების შემდეგ, დასი ამ სპექტაკლით გაზაფხულზე თბილისშიც გეგმავს ჩამოსვლას.

**კახი ლაზარიშვილი — ოპერის კრიტიკოსი:**

**— „ბათუმის საოპერო დასში შესანიშნავი ახალგაზრდა მომღერლები არიან. ყოველწლიურად მდიდრდება მათი რეპერტუარი საოპერო შედევრებით — „ქეთო და კოტე“, „დაისი“, „ლუჩია დი ლამერმური“, „სოფლის ღირსება“.... დიდი გულშემატკივარი ვარ ამ დასის და მუდამ ინტერესით ვაკვირდები მათ შემოქმედებას. მიხარია, როცა ვხედავ, რომ ყოველი ახალი საპრემიერო სპექტაკლის პარტიტურა გაცილებით რთული და საპასუხისმგებლოა წინასთან შედარებით. ესე იგი, დასი შემოქმედებითად იზრდება, იხვეწება და ძლიერდება! ბათუმის ოპერის სოლისტებმა ლამაზი, ევროპულად მჟღერი ძლიერი ხმებით, ვოკალური ესთეტიკითა და ვრცელი, თავისუფალი დიაპაზონით დიდი ხნის წინ მიიქციეს ლეგენდარული ქართველი საოპერო მომღერლების ყურადღება. მათ გულშემატკივრობენ საზღვარგარეთაც, სადაც ხშირად მღერიან და საოპერო ხელოვნება გაცილებით დაფასებულია, ვიდრე აქ ბოლო წლებში. გაუმართლათ, რომ გიზო ჟორდანიასნაირ დიდებულ რეჟისორთან იმუშავეს. ის უნიკალური მოვლენაა ქართულ რეჟისურაში და მის ამ უნიკალურობას ქმნის არა ერთი და ორი თვისება — თანდაყოლილი ნიჭი, არტისტიზმი, ტემპერამენტი! იგი, ვირტუოზი რეჟისორია, ხანგრძლივი შრომით და გამოცდილებით რომ მიიღწევა. გიზო ჟორდანიას კარგად აქვს შეთვისებული რეალისტური თეატრის თავისებურებანი და მონდომებით წვრთნის არტისტის სხეულს. იგი, იმ შემოქმედებითი ესთეტიკის ერთგული დარჩა დღემდე, აუდიტორიას რომ არ აღიზიანებს... გიზო ჟორდანია იმ ლიდერ ქართველ რეჟისორთა რიგებში დგას, რომლებიც შემოქმედებით ზენიტში ყოფნის დროსაც კი ახალ გზებს ეძებდნენ რეპერტუარის განახლებისა და თეატრის სტილის გამრავალფეროვნების მიზნით!“**

**ავთანდილ ბექაური.**



ჭიდაობა

# სხირელმა ნაკრების კანდიდატთა სია ჩამოწერა



**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა ეროვნული გუნდის კანდიდატთა გაფართოებული სია ჩამოწერა, რომელთაგანაც სეზონის ბოლომდე დარჩენილ ერთადერთ საერთაშორისო ტურნირზე დასაყენებელ შემადგენლობას შეარჩევს. 6 ნოემბერს ქართული გუნდი მოსკოვში გაემგზავრება „ევროპის ღია თასზე“ საჭიდაოდ.**

სხირელი ნაკრების მთავარ მწვრთნელად საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ ორი კვირის წინათ დაასახელა, მაგრამ ერთობლივი საწვრთნელი პროცესი დღემდე არ დაწყებულა. ნაკრების წევრთა და კანდიდატთა დიდი ნაწილი დარბაზში შესვლაზე უარს აცხადებს, ვიდრე ლუკა კურტანიძე თანამდებობას არ დატოვებს და ფედერაციის პრეზიდიუმი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს არ ჩაატარებს.

„წინ მნიშვნელოვანი ტურნირია, რომელზეც გუნდი აუცილებლად უნდა გამოვიდეს. ევროპის თასისთვის ნორმალურად მოსამზადებლად გუნდს ორი სრულფასოვანი შეკრება სჭირდებოდა, მაგრამ შექმნილი ვითარების გამო მხოლოდ ერთი ხერხდება. ჩამოვწერე გაფართოებული სია, რომელშიც ყველა კანდიდატი შევიყვანე. ამ სპორტსმენებს 22 ოქტომბრიდან ორკვირიან შეკრებაზე ვუხმობ. იმედია, ნაკრების წევრები გონიერ გადაწყვეტილებას მიიღებენ და ვარჯიშს განაახლებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსკოვის განაცხადის შედგენისას არჩევანს იმ სპორტსმენებს შორის გავაკეთებთ, რომლებიც შეკრებაში ჩაერთვებიან“, — განაცხადა ნუგზარ სხირელმა.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# შენგელია სასტარტო ხუთეულის წევრია

**ევროლიგის სასტარტო მატჩში თორნიკე შენგელიას „ლაბორალ კუჩამ“ ლიტვურ „ნეპტუნასს“ უმასპინძლა და იოლად — 88:69 სძლია, ტრავმამოშუშებული ქართველი კალათბურთელი კი ესპანელთა სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და კარგადაც ითამაშა.**



შენგელიამ მოედანზე 23 წუთი გაატარა და ბასკურ კლუბს 12 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება შესძინა. თოკომ 3-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი არ დაუკარგავს, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, ხოლო მის წინააღმდეგ 3-ჯერ დაჯარიმდნენ.

საქართველოს ნაკრების ერთი ლიდერის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 19-ს უწია, რითაც იგი მხოლოდ ფრანგ თომას უერტელს (28) და ესპანელ ფერნანდო სან ემეტერიოს (21) ჩამორჩა.

მასპინძელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი ლატვიელი დანის ბერტანსი იყო 20 ქულით, უერტელმა 13 ქულა და 10 პასი მიითვალა, სან ემეტერიომ კი — 12 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი და 3 ჩაჭრა.

„ლაბორალ კუჩას“ ევროლიგაში მე-2 მატჩი 24 ოქტომბერს პირეოსში „ოლიმპიაკოსთან“ ელის, მანამდე კი, 18 ოქტომბერს, ესპანეთის ჩემპიონატის მე-3 ტურის ეგიდით „ანდორას“ ესტუმრება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

სკანდალი

# სერბეთ-ალბანეთის მატჩი ჩხუბის გამო ჩაიშალა




**მატჩის მთავარმა არბიტრმა, ინგლისელმა მარტინ ატკინსონმა სერბეთისა და ალბანეთის ნაკრებების შესარჩევი შეხვედრა პირველი ტაიმის მიწურულს შეაჩერა.**

თამაშის ჩაშლის მიზეზი ის გახდა, რომ 41-ე წუთზე ტრიბუნებიდან მოედანზე უპილოტო თვითმფრინავი შეფრინდა, რომელსაც ალბანეთის დროშა ჰქონდა გამობმული. სერბი მცველი სტეფან მიტროვიჩი დროშასთან მივიდა და მის ჩამოხსნას ცდილობდა, თუმცა, მასთან ალბანელი ფეხბურთელი მერგიმ მავრაი მიიჭრა ხელის შეშლის მიზნით. ამ ქმედებამ ფეხბურთელებს შორის კონფლიქტი გამოიწვია.

ცოტა ხანში ტრიბუნებიდან მოედანზე სხვადასხვა საგნების სროლა დაიწყეს, თანაც გულშემატკივრები მინდორზე შეცვივდნენ და მატჩის შეჩერება გარდაუვალი გახდა.

უეფა აღნიშნულ ინციდენტს 23 ოქტომბერს განიხილავს და, ალბათ, მხარეებს მკაცრადაც დასჯის.

**ბეჟან დოლიძე**



ფეხბურთი

# ვენგერი ტრანსფერებისთვის 20 მილიონს მიიღებს

**ლონდონის „არსენალის“ ხელმძღვანელობა გუნდის მთავარ მწვრთნელ არსენ ვენგერს ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ახალი ფეხბურთელების შესაძენად 20 მილიონ გირვანქას გამოუყოფს.**



მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში ალექსის სანჩესის, კალუმა ჩემბერსის, მატიე დებუშის, დავიდ ოსპინასა და დანი უელბეკის შესაძენად თითქმის 60 მილიონი გირვანქა დაიხარჯა, „მეთოფეების“ ხელმძღვანელობა მზადაა გუნდის გასაძლიერებლად დამატებითი სახსრები მოიძიოს.

The Telegraph ირწმუნება, რომ 20 მილიონად ვენგერი მესუტ იოზილის ან ალექსისის კალიბრის ფეხბურთელის შეძენას შეეცდება. არაა გამორიცხული 10-10 მილიონად ორი ფეხბურთელის შეძენაც.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# რობინ სოდერლინგი: კორტზე დაბრუნების იმედს არ ვკარგავ

**მსოფლიოს ყოფილ მე-4 ჩოგანს რობინ სოდერლინგს, რომელიც სტოკჰოლმის ტურნირის დირექტორის მოვალეობას ასრულებს, სურს, აქტიურ სპორტში დაბრუნდეს.**

„ძალიან საინტერესოა სტოკჰოლმის ტურნირის დირექტორად მუშაობა, თუმცა, იმედია, დიდი ხნით არ მომიწევს აქ დარჩენა და კვლავ არ ვკარგავ იმედს, რომ აქტიურ სპორტს დავუბრუნდები. დაახლოებით 6 თვის წინათ დავიწყე ვარჯიში, მაგრამ ძალიან რთული აღმოჩნდა“, — სოდერლინგის სიტყვებს The New York Times ციტირებს.

სოდერლინგმა 2011 წელს ბაშტადის ტურნირი მოიგო, სადაც ფინალში დავიდ ფერერი დაამარცხა (6:2, 6:2). მას შემდეგ რობინს აღარ უთამაშია. ის მონონუკლეოზის მძიმე დაავადებას ებრძვის.



შვედმა კარიერაში ATP-ის 10 ტურნირი მოიგო. ის ორჯერ იმყოფებოდა საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

# კოულის ნაცოლარის ვნებანი

**ლონდონის „ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელის ეშლი კოულის ყოფილი ცოლი, მომღერალი შერილი თურმე მუდმივად პარიზში დასეირნობს და ღამის კლუბებში ატარებს დროს.**



ერთ-ერთ ღამის კლუბში პაპარაცებმა თვალი მოჰკრეს მაგიდასთან მარტოდმარტო მჯდარ მშვენიერ შერილს, რომელსაც შესანიშნავი კაბა ეცვა და ისე მიმზიდველად გამოიყურებოდა, რომ იქ მყოფნი თვალს ვერ აშორებდნენ.

როგორც იცით, შერილი ბრიტანეთში საკმაოდ წარმატებული მომღერალია და, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში მის კარიერაში ერთგვარი წყვეტაა, კოულის ნაცოლარი მომავალში გრანდიოზული კონცერტების გამართვას კიდევ აპირებს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ ინტელექტუალური საკუთრება

# „ბორდო“, „ჰავანა“, „ხვანჭკარა“ და სხვები...

**მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის ადგილწარმოშობის დასახელების დაცვის საკითხი სახელმწიფო დონეზეა დაყენებული. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბევრი სხვა ქვეყანა ისეთ ბრენდზე „მიტმასნას“, ანდა, სულაც, უნამუსოდ მითვისებას ცდილობს, რომელთანაც არანაირი შეხება არა აქვს: ასეთია, მაგალითად, შოტლანდიური ვისკი, ფრანგული „შამპანური“ და „კონიაკი“, ჩვენებური „ხვანჭკარა“... ამდენად, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მას დიდ ყურადღებას აქცევენ როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენში, რისთვისაც დროდადრო აღნიშნულ საკითხებს საერთაშორისო თავყრილობებს უძღვნიან. ერთი ასეთი ახლახან თბილისში ჩატარდა — ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ საერთაშორისო კონფერენცია მოაწყო, რომლის თემა „გეოგრაფიული“ აღნიშვნების დაცვა: იურიდიული ასპექტები და ბრენდინგის სტრატეგიები იყო.**

ადგილწარმოშობის დასახელება — ესაა გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში კი, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი, რომელიც იმ საქონლის მოსანიშნად გამოიყენება, მოცემულ გეოგრაფიულ ადგილზე რომ არის წარმოშობილი და მისი განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები, მთლიანად ან ძირითადად, მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის, ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის ფაქტორითაა განპირობებული. ამასთან, ამ პროდუქციის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში ხდება.

გეოგრაფიული აღნიშვნა — ეს არის სიმბოლო, რომელიც გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილს მიუთითებს და, ადგილწარმოშობის დასახელებისგან განსხვავებით, შეიძლება იყოს როგორც ადგილის სახელი, ასევე რაიმე სხვა აღნიშვნა, რომელიც ამ ადგილზე მიუთითებს. იგი იმ საქონლის მოსანიშნად გამოიყენება, რომლის განსაზღვრული თვისებები (და არა განსაკუთრებული თვისებები და ხარისხი), ან რეპუტაცია და წარმოშობა, ამ გეოგრაფიულ ადგილთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში არ მოითხოვება, რომ ნედლეულის დამზადება, დამუშავება და წარმოება ხდებოდეს ერთსა და იმავე ადგილზე. საამისოდ საკმარისია მხოლოდ ერთ-ერთი პირობის დაცვა, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი გადამწყვეტი უნდა იყოს საქონლის თვისებებისა და რეპუტაციის ფორმირებისას.

უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიული აღნიშვნები ყველა ჩვენგანისთვის კარგადაა ცნობილი, მაგალითად „შამპანი“, „ბორდო“,



საქპატენტი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

WIPO
WORLD
INTELLECTUAL PROPERTY
ORGANIZATION

„პორტო“, „პლზენი“, „ჰავანა“, ჩვენებური „ხვანჭკარა“, „ბორჯომი“, „წინანდალი“, „ტიბაანი“ და სხვები. ყველა ეს აღნიშვნა გეოგრაფიული ადგილის სახელია. ამ ხერხით იმის მინიშნება ხდება, რომ აღნიშნული პროდუქცია განსაკუთრებული თვისებებისა და ხარისხის მქონეა, რომელიც შესაბამისი გეოგრაფიული ადგილის სპეციფიკურობით, გარკვეულ დარგში ადგილობრივი მოსახლეობის გამორჩეული ცოდნითა და ოსტატობითაა გაპირობებული.

უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიული აღნიშვნები ბრენდინგის ერთ-ერთი ეფექტიანი სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდის, რეგიონალური განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის მხრივ.

— ამის გათვალისწინებით, აღნიშნულმა კონფერენციამ ხელი უნდა შეუწყოს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის შემდგომ განვითარებას საქართველოში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ამ ცოტა ხნის წინათ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის პირობებში ქართული პროდუქციის ევროპის ბაზარზე წარმატებული ექსპორტისთვის, — თქვა ექსკლუზიურ ინტერვიუში საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ თავმჯდომარემ **ნიკოლოზ გოგილიძემ.** — საგულისხმოა ისიც, რომ გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გათვალისწინებით.

„საქპატენტის“ მიერ გამართულ ტრადიციულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს შვეიცარიის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, საფრანგეთის, მოლდოვას, უკრაინის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ექსპერტებმა. საქართველოს მხარეს ამ მნიშვნელოვან ფორუმზე, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, წარმოადგენდნენ კერძო კომპანიების თანამშრომლები, პატენტრწმუნებულები და იურისტები. ამის გარდა, საგანგებო სტუმრების სტატუსით კონფერენციის მუშაობას ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის საელჩოების დიპლომატები დაესწრნენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ რეპლიკა

# პენსიის მომატება თუ დაცინვა?

**პატივცემულო ხელისუფალნო, თქვენ ტრაბახობთ მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფის რეფორმით, მაგრამ პენსიონერები არიან ამ ქვეყნის მოქალაქენი?**

მომავალი წლიდან 5 ან 10 ლარით პენსიის მომატება რეფორმად მიგაჩნიათ? ჯერ კიდევ ადრე, დავითაშვილი კატეგორიულად მოითხოვდა პენსიების დანიშვნას სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. რატომ არ გაითვალისწინეთ ეს უდავოდ სწორი წინადადება? თქვენს მიერ განცხადებული პენსიის 5 ან 10 ლარით მომატება, უფრო სწორად შემწეობაა, მინისტრებზე გაცემული პრემიების ფონზე. სამარცხვინო და ალმაშფოთებელია. დაფიქრდით.

ცნობილია, რომ სომხეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში მინისტრის ხელფასი, თუ ჩვენს ვალუტას შევუსაბამებთ, 1500-2000 ლარია, ჩვენი მინისტრებისა კი განუზომლად მაღალი. რა დამსახურებისთვის?

როდესაც პრემიების გაცემის დროს ორიენტაციას იღებთ დასავლეთის ქვეყნებზე, რატომ არ აზუსტებთ იქაური პენსიების ოდენობას?!

**ლონდა მდივანი**

საქმე №1/72-2014

## საარბიტრაჟო დადგენილება

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

15 ოქტომბერი 2014 წელი — ქ. თბილისი

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**
**საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”**
**საარბიტრაჟო მოპასუხე: ნინო პატაშური, გიორგი ნაზღაიძე, გია ხარაზიშვილი**
**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

**არბიტრაჟმა განიხილა საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და**

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 4 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელი მოპასუხის ნინო პატაშურის, გიორგი ნაზღაიძისა და გია ხარაზიშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიორგი ნაზღაიძეს გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისი რეგისტრაციის მისამართზე, თუმცა, კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა და მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გიორგი ნაზღაიძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოების სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა: დადგენილია, რომ მოპასუხე გიორგი ნაზღაიძე რეგისტრაციისა და, ამავდროულად, მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე გიორგი ნაზღაიძეს (პ/ნ 01013022929) ეცნობოს, რომ 2014 წლის 3 ნოემბერს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ნინო პატაშურის, გიორგი ნაზღაიძისა და გია ხარაზიშვილის მიმართ.
2. გიორგი ნაზღაიძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
3. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
4. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით.
5. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

◉ წერილი რედაქციას

# დაფიქრდით, ხელისუფალნო!

**ვინ ზრუნავს ადამიანთა კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე? ეს კარგად ჩანს ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობიდან — ავად გახდები და წამლები ძვირია, პროდუქტი ძვირდება... ეს ყველაფერი უმთავრესად განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება პენსიონერთათვის.**

**თანაც აცხადებენ, რომ 150 ლარი არსებობისთვის საკმარისია, მაშინ, როცა იმ ჩინოვნიკებისთვის, ვინც პენსიის ნორმას ადგენს, ეს თანხა ერთი დღის ჯიბის ფულია. თვითონ თუ იარსებებენ ამ 150 ლარით? თუ ადამიანთა ჯანმრთელობაზე ასე ზრუნავენ, წამლებს რაღად აძვირებენ??.**

**ჩინოვნიკებო, როცა „ჯიპებით“ დაგრიალებთ, ნუთუ არ შეგიმჩნევიათ საცოდავი ხალხი როგორ იქექება ნაგვის ბუნკერში, რაიმე გამოსადეგარის მოსაძებნად?..**

**ერთხელ მაინც დაუსვით თქვენს თავს შეკითხვა?..**

**თენგიზ თომაძე,**
პენსიონერი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

◉ კრიმინალი

# სოფელ დარჩელში ტაქსის მძღოლი მოკლეს

**შინაგან** საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მკვლელობის სავარაუდო მოტივი მძღოლისთვის თანხის გადაუხდელობა გახდა.

უწყების ცნობით, უკვე დადგენილია მკვლელის ვინაობა. ამ დროისთვის კი, სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს.

გამოძიება მომხდარის შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მოკლული ტაქსის მძღოლი გოდერძი შამუგიაა.

ლაშაობა – 2014

# „ერთი კალათა სოფელი და ობლის ცრემლივით ცამდე მართალი პოეტი“



გამომცემლობა „სამშობლოს“ ერთ პაწაწკინტელა ოთახში სავარძელში იჯდა ფეხი ფეხზე გადადებული. გრძელ, ჩამოქნილ ხელის თითებში მოემწყვდია სიგარეტი, ჭერს აჰყურებდა და მკარნახობდა მასავით უდროოდ წასული პოეტის არჩილ ფირცხალავასადმი მიძღვნილ ლექსს „პრიმის ბახალა“. თითოეულ სიტყვას ეფერებოდა, ნაწერს შიგადაშიგ ჩახედავდა და კარნახს აგრძელებდა გაბზარული ხმით. ბოლოს ნაკარნახევი გადამაკითხა, ფურცელი ჩამომართვა და თითქოს ლექსს აგრძელებსო, ისე მიაწერა მთრთოლვარე ხელით – **„მამუ, – უღრმესი მადლიერებით ვაწერ ხელს შენი ძმურხელით გადაწერილ ამ ნაცოდვილარს. ისე, შენ კი იცი, არამცთუ გადაწერა, ლექსის წერაც კი მეზარება ამ ბოლოჟამს. ტიციანისა არ იყოს, ვიცი, თუ დავწერე... ვინმე გადამწერს! შენი ლაშა გახარია. 26.8.2002 წ“.**

თორმეტი წელი გასულა იმ დღიდან. ჩვენ კი მისი მეგობრები მეათეჯერ ავდივართ მის მშობლიურ მუხურში, იმ მუხურში, ოდად რომ დაუწერა – **„უფლის და კაცის ბალადა – ერთი კალათა სოფელი“.** მეათეჯერ გვმასპინძლობს ერთი კალათა სოფელი ულამაზოდ. მაგრამ ლაშას გარეშე ვინა თქვა სოფელი – ყველა ჭიშკართან გეპატიჟებიან, გულს გიშლიან, ლაშას ლექსებს ღიღინებენ. ხიდს გადახვალ „ხობწყარზე“ და ლაშას სახელობის სკოლა გეგებება ღია ჭიშკრით, ეზოაჟრიამულებული ბავშვებით, სოფლის ნობათით წელში გაზნექილი მაგიდით, მოღიმარი სახეებითა და შავი ღვინით სავსე ჭინჭილებით. ლაშაობას ზეიმობს სოფელი. რამდენი ბავშვია, თავიანთ თანასოფლელს, ახლა მარადისობაში გადასულ დიდ პოეტს რომ არ იცნობდა, მას შემდეგ დაიბადნენ, რაც ლაშა გამოეთხოვა წუთისოფელს. სწორედ ისინი კითხულობენ მეგრულ-ქართულად მის ლექსებს, მღერიან მის სიმღერებს. უფროსი თაობა ღიმილით გვხვდება უკვე თავისიანებადმიღებულ, მაგრამ მაინც სტუმრებს. უამრავი ნაცნობი სახე, ამაყნი, რომ კვლავ პატივს მიაგებენ ლაშას ხსოვნას, არ ივიწყებენ მას – პატარა უსახელო მდინარე ლაშარელად მონათლული, ახლად აღმოჩენილი მღვიმე ლაშას სახელობისა, პირველი საჯარო სკოლა ლაშას სახელმინიჭებული, მის მშობლიურ ეზოკარში ორსაუკუნოვანი ოდასახლი ლაშას მუზეუმადქცეული.



ახალგაზრდა გამგებელი დავით გოგუა მეგრული ოდასახლის მაკეტს გვაჩვენებს – დაბერდაო სამი პოეტის კაპიტონ, ზაურ და ლაშა გახარიების სახლი, ამდენ სტუმარს ვერ გაუძლებსო მომავალ ლაშაობაზე, გადავწყვიტეთ, ამგვარი ოდა ავაგოთ და, რა თქმა უნდა, ძველი სახლის კედლები გამოვიყენოთო.

სკოლის ეზოდან გახარიების ოდაბადეში გვეპატიჟებიან. საოცარი ხალხი ცხოვრობს მუხურში, ზღაპრულ სანახაობად უქცევიათ იქაურობა – ლაშას პორტრეტები, გაწყობილი მაგიდები, დასანთებად გამზადებული კოცონი, სცენა უზარმაზარი ეკრანით, მთელი ჩხოროწყუს რაიონი, ზუგდიდელები, წალენჯიხელები, რომლებმაც წინა დღეს გრანელობა იზეიმეს და ახლა ლაშას ხსოვნას მიაგებენ პატივს. სცენაზე ერთმანეთს ცვლიან დეკლამატორები, მოცეკვავეები, მომღერლები. საოცარია ნიჭიერება ამ კუთხის ხალხისა, გემოვნება და პეწი. ერთი ზედმეტი, ყალბი არ იგრძნობა პატარა თუ გამოცდილ ხელოვანთა შემოქმედებაში. სიხარულს ვერ მალავს ჩვენი სახელოვანი **ელდინო საღარაძე,** გაოცებულია პატარა ლექსისმთქმელთა პროფესიონალიზმით, შემდეგ თავადაც წაიკითხავს არა მარტო ლაშა გახარიას ლექსებს, არამედ ლაშასადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსსაც გააცნობს დამსწრეთ.



სცენას თბილისელ სტუმრებსაც გვითმობენ – **ლევან ღვინჯილია, ანზორ ბაბუხადია, პაატა ნაცვლიშვილი, ლია ნაროუშვილი და მარინე თექთუმანიძე** იგონებენ ნაადრევად წასულ მეგობარს, ახალგაზრდა პოეტები **ოთარ ფალიანი და ალეკო შურღაია** თავიანთი შემოქმედებით აოცებენ მასპინძლებს, **ივანე ჯაფარიძე** ლაშას უფროსი მეგობრის, ჩვენი უშესანიშნავესი სპელეოლოგისა და პუბლიცისტის **ჯუმბერ ჯიშკარიანის** წერილს კითხულობს, მეტად სევდიანსა და გულშიჩამწვდომს... თავად ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვიდა.

პოეტი **გია კევლიშვილი** რუსულ ენაზე კითხულობს მისსავე ნათარგმნ ლაშა გახარიას ლექსებს. კომპოზიტორებმა **მაყვალა ხორბალაძემ და ნანა გველესიანმა** ლაშას ლექსებზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულეს.

ეკრანზე თავად ლაშა კითხულობს საკუთარ ლექსებს. თითქოსდა გაირინდა ბუნება, აცრემლებული თვალებით უსმენენ პოეტის უკანასკნელ დღეებში ჩაწერილ ლექსებს, გაბზარული ხმით ამონაკვნესი სათხოვარი მესაფლავისადმი, რომელიც ქართული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშია.

**მესაფლავე...**
**აჰა, ბარის ფული**
**არ დამმარხო,**
**არ გაგიწყრეს ღმერთი.**
**ჩემს ცხედარზე**
**თუ არ გყწდება გული...**
**მეც... ფეხებზე**
**არ მკიდია, ერთი!**
**......................**
**ერთი ლექსით**
**გადავიხდი ქეიფს,**
**ამ კუბოსაც**
**ჩავაცეცხლებ ბუხარს!**
**თუ არადა...**
**ჩამიძახე ქვეით**
**ჩემი ბოლო მესაფლავე**
**თუ ხარ!**

გვიან ღამემდე გრძელდება ლაშაობა. ცრემლი, მხიარულება, სევდა, იმედი და სიამაყე მუხურელებისა, რომ ასეთი დიდი პოეტის აღმზრდელნი იყვნენ, სიამაყე ჩვენი, ლაშას მეგობრებისა, რომ ასეთი დაფასება იციან საქართველოში.

გაშუაღამევდა, გვაცილებს ლაშას უშესანიშნავესი მეუღლე, ქალბატონი **როზა ბერიკაშვილი,** რომლის უდიდესი დამსახურებაა პოეტის სახელის უკვდავყოფა, რადგან **„პოეტი მაინც... ერთი ლექსია – ობლის ცრემლივით ცამდე მართალი!“** – ლაშა კი მისი ყველა ლექსით ასმაგი პოეტია. ფეიერვერკებით, კოცონითა და სანთლებით განათებულ ღამეს ვემშვიდობებით და ვტოვებთ ამაყ, სამეგრელოში ხობისწყლის პირას მთაში მიყუჟულ „ერთ კალათა სოფელს“, ლაშას ოდაბადეს.

**მამუკა ვაშაკიძე**
**ჩხოროწყუ-მუხური-თბილისი.**

## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**გუშინ საბოლოოდ დავასკვენი, რამდენად მავნებელია სიგარეტი. შევედი სამზარეულოში სიგარეტის მოსაწევად, იქ კი ცოლი წვნიანს აკეთებს... მომიწია კარტოფილის თლა და სტაფილოს ხეხვა.**



* * *

**განცხადება: სასწრაფოდ ვეძებ ქალიშვილს მდიდარი შინაგანი სამყაროთი... ამ სამყაროში შესასვლელი ფართოდ გახსნილი ჭიშკრით.**

* * *

**ჟურნალისტი ეკითხება კუზანოვს:**

**– რაზე ფიქრობენ ქალიშვილები, რომლებიც თქვენთან მკერდის გასადიდებლად მოდიან?**

**– ყველა მათგანს ჰგონია, რომ დიდი მკერდით მიაღწევენ იმას, რასაც უნდა მიაღწიონ ენითა და გონებით.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24